ჟურ. სას

ჩვენს გაზეთზე ხელმოწერის ვადა გაგრძელებულია 5 დეკემბრამდე.

იჩქარეთ, მოასწარით!

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 250 (778) კვირა, 21 ნოემბერი, 1993 წელი ფასი 200 კუპონი

პირველი სვეტი

ცნობები დასავლეთ საქართველოდან

სენაკი. ქალაქის კომენდანტმა დავით გულუამ საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა, რომ ქალაქსა და მთლიანად რაიონში ვითარება სტაბილურია. გრძელდება იარაღის ჩამორთმევა, ასევე იარაღს ნებაყოფლობით აბარებენ ცალკეული პიროვნებები. წყალი და ელექტროენერგია მოსახლეობას გრაფიკით მიეწოდება, ცხვება პური. ქალაქში შემოტანილია სამშენი მასალა, რათა შეუდგნენ დანგრეული და გაპარტახებული ნაგებობების აღდგენას.

სამტრედია. შემთხვევის ადგილებზე ოპერატიულად მისვლას დიდად აბრკოლებს საწვავის უქონლობა, — განაცხადა ქალაქის შტაბის უფროსმა იუზა რობაქიძემ. — შემცირდა მაოხრებლობისა და ყაჩაღობის ფაქტები. მოსახლეობას შრომითი განწყობილება აქვს და თავის უბნებზე ყველა პატიოსნად იღვწის. მიმდინარეობს იარაღის აქტიური ჩაბარება.

ზუგდიდი. ქალაქის გამგებელმა ედიშერ ჩარგაზიამ გვაცნობა, რომ აქ სტაბილური ვითარებაა. ქალაქი უბრუნდება თავის ჩვეულ შრომით რიტმს: მუშაობენ საქალაქო და საგარეუბნო ტრანსპორტი, ავტოსატრანსპორტო საწარმოები. 24 ნოემბერს განახლდება სასწავლო პროცესი სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ბოლო დღეებში ნებაყოფლობით ჩაბარდა 9 ერთეული იარაღი. 24 ნოემბრიდან დაიწყებენ საკადრო ცვლილებებს რაიონის სოფლების კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო მეურნეობებში.

ხობი. გამგებლის მოადგილემ ედიშერ წურწუმიამ საუბარში ხაზი გაუსვა იმას, რომ საწვავის უქონლობის გამო ბრკოლდება ციტრუსების კრეფა. გაძარცვული ტრანსპორტი ვერ მოძრაობს, ხობელები სარგებლობენ აღდგენილი ზუგდიდი-თბილისის საავტომობილო მარშრუტით.

ლანჩხუთი. ქალაქის პოლიციის უფროსმა გურამ ჩხაიძემ გვითხრა, რომ რეგიონში კრიმინოგენური სიტუაცია კვლავ დაძაბულია. შემოდიან შეიარაღებული პირები, რომლებიც თავს სამთავრობო ჯარის სხვადასხვა ნაწილების მეომრებად წარმოადგენენ და ძარცვავენ ავტობუსებს. რაიონში გვინდა შევქმნათ სახალხო ლაშქარი, რათა მივაღწიოთ იმას, რომ აქ უნებართვო იარაღით არავინ შემოვიდეს.

ოზურგეთი. ქალაქის გამგებელმა გია გოგიბერიძემ აღნიშნა, რომ ელექტროენერგიის მიწოდება გამოსწორდა. ველოდებით დაპირებულ საწვავს, რომლის მიღებისთანავე შევუდგებით ციტრუსების მოსავლის აღებას. სასიამოვნო სიახლე მოხდა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში: 19 ნოემბერს თეატრალური სეზონი გახსნა ალექსანდრე წუწუნავას სახელობის დრამატულმა თეატრმა. 20 დღის იძულებითი შესვენების შემდეგ ამუშავდა ადგილობრივი ტელევიზია.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

23 ნოემბერს გიორგობაა

გაერთიანდეთ ქრისტიანული სიყვარულით



23 ნოემბერს საქართველოში აღინიშნება წმიდისა დიდებულისა დიდმოწამისა და ძლევამოსილისა გიორგის დღესასწაული — გიორგობა. ეს დღე ქართველთათვის ეროვნული დღესასწაულის ტოლფასია. ამიტომაცაა, რომ ჩვენში ნოემბერი გიორგობის თვედ იწოდება. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შემდეგ, რომლის წილხვედრიცაა ჩვენი ქვეყანა, საქართველოში არცერთი წმინდანის სახელზე არ არის აგებული იმდენი ეკლესია-მონასტერი, რამდენიც წმინდა გიორგის სახელზე. ესეც დასტურია ქართველთა დიდი თაყვანისცემისა ამ უშიშარი მხედრის მიმართ, რომლის სახელსაც განსაკუთრებული სიყვარულით წარმოთქვამს ყოველი ჩვენგანი, რადგან მასთან ვაკავშირებთ უძლეველობასა და სიმართლეს, პატიოსნებასა და ერთგულებას, კეთილშობილებასა და სიბრძნეს.

წმინდა გიორგი — ბიძაშვილი იყო წმინდა ნინო კაბადოკიელისა — ქართველთა განმანათლებლისა. მისი ტანჯვით აღსავსე ცხოვრება იმის ნათელი მაგალითია, რომ ადამიანი უნდა ემსახუროს ჭეშმარიტებას, პატიოსნებასა და სიმართლეს, არ უღალატოს რწმენას, ღმერთის სიყვარულს.

დღეს განსაკუთრებით სჭირდება ჩვენ' ხალხს ზეციური მეოხება წმინდა გიორგისა. წლევანდელ გიორგობას ერთობ მძიმე ვითარებაში აღნიშნავს ქართველობა: ხილული თუ უხილავი მტერი ცდილობს, რომ ჭეშმარიტების გზას აგვაცდინოს, მაგრამ მათი მცდელობა განწირულია დასაღუპავად. ამიტომ გვმართებს ყველას შევთხოვოთ დიდმოწამე წმინდა გიორგის, რათა გვაშოროს ბოროტი, გავუძლოთ უდიდეს განსაცდელს, მოგვცეს ძალა, რომ სასიკეთოდ წარვმართოთ ჩვენი ცხოვრება, ქვეყნის მომავალი. მივაპყროთ მზერა ამ წმინდანის ხატებას, რომლის თავგანწირვა ქრისტეს სარწმუნოების ერთგულებისათვის, მისი ბოროტებასთან შეურიგებელი ბრძოლა გვამხნევებს და გვინათებს გზას ჩვენ' სამართლიან ბრძოლაში. გაერთიანდეთ ქრისტიანული სიყვარულით, რადგან სიყვარულია ყველა სიკეთის წყარო, სათავე თანხმობისა და შენებისა, სულიერი განწმენდისა და ამაღლებისა.

წმინდა გიორგი ყოველთვის ეხმარებოდა ჩვენს ხალხს გასაჭირში და გვწამს, რომ იგი არც ახლა დაგვტოვებს უნუგეშოდ. ბედნიერი იყოს სრულიად საქართველოსათვის წლევანდელი გიორგობა!

ისევ პურის თაობაზე...

დედაქალაქის მოსახლეობის საარსებოდ მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას მიეძღვნა თბილისის მერიის საქალაქო მუნიციპალიტეტის კაბინეტის სხდომა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე**.

სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება, როგორც მოსალოდნელი იყო, დაეთმო დედაქალაქის მოსახლეობის პურით უზრუნველყოფის ღონისძიებათა საკითხის განხილვას, რომელმაც საკმაოდ მწვავე და დაინტერესებული სჯა-ბაასი გამოიწვია. აღინიშნა, რომ ბოლო დროს მკვეთრად შემცირდა პურის ცხობის მოცულობა, რაც მრავალი ობიექტური მიზეზით არის განპირობებული. ირღვევა სავაჭრო ობიექტებში გამომცხვარი პურის შეტანის გრაფიკი. დაუცველობის გამო პურის ქარხნებში შეუფერხებლად შედიან შეიარაღებული პირები, რომლებიც თანამშრომლებს აიძულებენ, უკეთეს შემთხვევაში, ადგილზევე გაყიდონ პური. ამას კი მოჰყვება სრული განუკითხაობა, რის შედეგადაც დიდი რაოდენობით პური საკოლმეურნეო ბაზრებში ხვდება და მამასისხლად იყიდება. სხდომის მონაწილეთა ერთსულოვანი აზრით, არავითარ ღონისძიებას არ ექნება აზრი, სანამ არ განხორციელდება პურის ქარხნების, წისქვილკომბინატებისა და პურის მაღაზიების საიმედო დაცვა, რაზეც განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა იზრუნონ სამართალდამცავმა ორგანოებმა. ამასთან, ხაზგასმით აღინიშნა, რომ მოსახლეობის პურით მომარაგებაში შექმნილი კრიზისული ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი იქნება პურის ნორმირებული განაწილების სისტემაზე გადასვლა, რისთვისაც ოპერატიული და უაღრესად სერიოზული სამუშაოა განსახორციელებელი.

სხდომის მონაწილეებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავისი მოსაზრებები გაუზიარა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. მან მკაცრად გააკრიტიკა ის სამსახურები, რომლებიც თავს ვერ ართმევენ დაკისრებულ მოვალეობას. ის ფაქტი, რომ პურის განაწილება დღემდე უაღრესად დაძაბულ ვითარებაში ხდება, აღნიშნა მან, აღმასრულებელი ხელისუფლების უსუსურობაზე მეტყველებს. სახელმწიფოს მეთაურმა შესაბამის სამსახურებს დაავალა მაქსიმალურად დააჩქარონ მოსამზადებელი სამუშაოები პურის განაწილების ნორმირებულ სისტემაზე გადასვლისათვის და კატეგორიულად მოითხოვა, რომ უკვე ხვალიდანვე ყოველდღიურად 600 ტონა გამომცხვარი პური შევიდეს დედაქალაქის მაღაზიებში. რაც შეეხება დაცვის საკითხს, ხაზი გაუსვა სახელმწიფოს მეთაურმა, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ რამდენიმე დღეში უნდა გადაწყვიტოს ეს პრობლემა. ამასთან, რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო ვერ აიცილებს პასუხისმგებლობას ყოველივე იმის გამო, რაც დღეს ხდება დედაქალაქში. მან ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ შეიარაღებული ძალები და მოსახლეობა ერთმანეთს არ დაუპირისპირდეს. ძალადობის, ყაჩაღობის, დატაცების ყოველი ფაქტის გამო უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და უმკაცრესად მოეთხოვოს პასუხი ყველას, ვინც უნდა იყოს იგი.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ყურადღება გაამახვილა პურკომბინატების ელექტროენერგიით მომარაგების საკითხზე და აღნიშნა, რომ ამ ობიექტებზე ელექტროენერგიის გამორთვის შემთხვევაში, რაც დაუშვებელია, პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს.

— როცა დედაქალაქი ჩვენგან რომელიმე პრობლემის გადაწყვეტას მოითხოვს, — თქვა დასასრულ სახელმწიფოს მეთაურმა, — მას უნდა დავემორჩილოთ. თუ დედაქალაქი ცოცხლობს, სულდგმულობს და ვითარდება, საქართველოც იცოცხლებს.

საქართველოს პარლამენტი მუშაობას განაახლებს

რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე საგანგებო წესების შემოღების შედეგად გამოწვეული ორი თვის შესვენების შემდეგ საქართველოს პარლამენტი კვლავ შეუდგება მუშაობას. 25 ნოემბრისათვის დანიშნულ სხდომაზე პარლამენტარები, უწინარეს ყოვლისა, განიხილავენ საგანგებო წესების მოქმედების კიდევ 2 თვით გაგრძელების საკითხს. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს 20 ნოემბერს, როცა პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებს. ისინი შეხვედრაზე პარლამენტის სპიკერთან ვახტანგ გოგუაძესთან ერთად მოვიდნენ.

გაიმართა აზრთა ფართო გაზიარება რესპუბლიკისათვის, ფაქტობრივად, ყველაზე აქტუალური და საარსებო მნიშვნელობის პრობლემათა თაობაზე. გამოთქვა რა თავისი მოსაზრება საგანგებო წესების გაგრძელების საკითხზე, ედუარდ შევარდნაძემ დაწვრილებით გააცნო პარლამენტარებს დასავლეთ საქართველოში მომხდარი მოვლენები, იქ სადღეისოდ შექმნილი სიტუაცია, კონფლიქტის საბოლოო მოწესრიგების პერსპექტივები. აღინიშნა, რომ ახლა პრაქტიკულად ყველა რაიონში ცხოვრება თანდათანობით ნორმალურ კალაპოტში დგება, რაც მნიშვნელოვანწილად შესაძლებელი გახდა სწორედ საგანგებო ღონისძიებათა განხორციელების წყალობით. ამჟამად ძალზე მნიშვნელოვანია, აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა, საქმე მივიყვანოთ ბოლომდე, დავამყაროთ სათანადო წესრიგი სამეგრელოში, დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონსა და მთლიანად რესპუბლიკაში და ამით ჩავუყაროთ საფუძველი აფხაზეთის დაბრუნებას. სხვათა შორის, ედუარდ შევარდნაძემ მხარი დაუჭირა პარლამენტართა წინადადებას, რომ პარლამენტის მომავალ სხდომაზე პოლიტიკური შეფასება მიეცეს ყოველივე იმას, რაც მოხდა ამ ავტონომიურ რესპუბლიკაში.

შეხვედრაზე საფუძვლიანი სჯა-ბაასი გაიმართა პარლამენტის მომავალი მუშაობის სტილისა და მეთოდების შესახებ, მინისტრთა კაბინეტთან მისი ურთიერთქმედების, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე — რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთობის პრობლემებზე.

საქართველო — ფოლადი უროსა და გრდემლს შუა

გვესაუბრება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრის დირექტორი, პროფესორი ნოდარ კიკვაძე:

— ბატონო ნოდარ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, საქართველოს შესვლა ზოგს დამღუპველ პოლიტიკად მიაჩნია, ზოგი ფიქრობს, რომ თანამეგობრობა სრულყოფილი კავშირი არ არის, ზოგს ერთადერთ ჭეშმარიტ ხსნის გზად ესახება. თქვენ რა შეფასებას მისცემდით ამ ნაბიჯს?

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) შესვლა. რა იყო ეს — შეცდომა, თუ ბრძნული პოლიტიკური ნაბიჯი? ვფიქრობ, რომ ეს იყო ამ დროისათვის ყველაზე საჭირო სვლა და ამდენად — ბრძნული ნაბიჯი.

რა თქმა უნდა, თავისთავად დსთ სრულყოფილი კავშირი არ არის და არც შეიძლება იყოს. მსოფლიოში ჯერჯერობით ყველასათვის ოპტიმალურად მისაღები კავშირი არ არსებობს. განა სრულყოფილია ე. წ. „საერთო ბაზარი", „ანდების კავშირი", ან, თუ გნებავთ, „ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობა?"

ხომ შეიძლება, დსთ წესდებაც სულ შეიცვალოს, ან დროთა განმავლობაში, მასში შესწორებები შეიტანონ?

— დიახ, ბატონო. ეს წესდება კონკრეტული დროის მონაკვეთისა და კონკრეტული ისტორიული და პოლიტიკური ვითარების შედეგია და ასედაც უნდა განვიხილოთ — არა როგორც სამუდამოდ დადგენილი სჯულის კანონი. დსთ წესდება, ისევე როგორც მსოფლიოში არსებული სხვადასხვა ორგანიზაციებისა, თუ კავშირების წესდებები, იმ ზოგადი პრინციპების კომპენდიუმია, რომლითაც სახელმწიფოებმა უნდა იხელმძღვანელონ თავიანთ მოქმედებაში, რომელიც ამ სახელმწიფოთა შორის ორმხრივი და მრავალმხრივი კონკრეტული შეთანხმებებით, თუ ხელშეკრულებებით უნდა შეივსოს. აქედან გამომდინარე, როდესაც ჩვენ დსთ დადებით და უარყოფით ასპექტებზე ვმსჯელობთ, ნათლად და ფაქიზად უნდა გავიაზროთ და გავაანალიზოთ ის შესაძლებლობანი, რასაც წესდება უკვე ახლავე იძლევა.

მხოლოდ რამდენიმე მუხლზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას. ავიღოთ პირველი მუხლი. მასში წერია: „**თანამეგობრობა არ წარმოადგენს სახელმწიფოს და არა აქვს ზეეროვნული უფლებამოსილებანი**". ეს განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგანაც, კარდინალურად განსხვავდება საბჭოთა კავშირის სტატუსისაგან — იგი ხომ ზესახელმწიფო იყო, რომელსაც ზეეროვნული პოლიტიკური პრეროგატივები ჰქონდა, თუნდაც, 13 რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენლობა გაერო-ში. ახლა კი ჩვენ თვით ვართ გაერო-ს სრულუფლებიანი წევრი. მესამე მუხლში თანამეგობრობის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაზეა ყურადღება გამახვილებული. კერძოდ: „**სახელმწიფო საზღვრების ურღვეობა, არსებული საზღვრების ცნობა და უარი სამართალსაწინააღმდეგო ტერიტორიულ შენაძენებზე; ჩაურევლობა ერთმანეთის საშინაო და საგარეო საქმეებში**". არ მესმის, რაა ამ ფუძემდებლურ პრინციპებში მიუღებელი. ჩვენ რა, — გვსურს სახელმწიფო საზღვრების რღვევადობა და სხვათა საშინაო საქმეებში ჩარევა იყოს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა ძირითადი პრინციპი?

დსთ წესდების ოპონენტებს ვთხოვ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მე-9 მუხლს, სადაც გარკვევით წერია: „**წევრ სახელმწიფოს უფლება აქვს გავიდეს თანამეგობრობიდან, ამ განზრახვას წევრი სახელმწიფო წერილობით ატყობინებს წესდების დეპოზიტარს 12 თვით ადრე**".

გზად მომავლისკენ

აი, ბატონო, თუ ხელს არ გაძლევთ, როცა გნებავთ გამობრძანდით. 1990 წლის 26 აპრილის საკავშირო კანონისაგან განსხვავებით, (რომელიც, სხვათა შორის, გორბაჩოვ-იაკოვლევ-შევარდნაძისეული „პერესტროიკის" პროდუქტი იყო), თანამეგობრობის სახელმწიფოთა უფლებები ამ საკითხში ულტერნატივოა. მაშინდელი კანონი იმდენ პრობლემას და ბარიერს ქმნიდა, რომ სსრ კავშირიდან გამოსვლა ფაქტობრივად შეუძლებელი იყო.

დასასრულ, მკითხველი რომ არ გადავღალოთ, წესდების 23-ე მუხლზე მინდა შევაჩერო ყურადღება, სადაც ნათქვამია, რომ სახელმწიფოთა მეთაურებისა და მთავრობათა მეთაურების საბჭოების — დსთ ორი უმაღლესი ორგანოს — გადაწყვეტილებანი მიიღება საერთო თანხმობით — კონსენსუსით. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს თავისი დაუინტერესებლობა ამა თუ იმ საკითხით, რაც გადაწყვეტილების მიღებისათვის დაბრკოლებად არ უნდა იქნეს განხილული. კონსენსუსის ეს ფუძემდებლური პრინციპი, დსთ წესდების ჩარჩოში, ამა თუ იმ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისას რესპუბლიკის ინტერესების გათვალისწინების საშუალებას იძლევა.

— ცხადია, სოლიდური პროფესიული გააზრებისა და პოლიტიკური მახვილგონიერების საფუძველზე, რასაც ვერ უზრუნველყოფდა ასოცირებული წევრის სტატუსი.

— როგორ ფიქრობთ, რა არის ამ წესდებაში ჩვენი რესპუბლიკისათვის საზიანო. განსაკუთრებით ბევრი ოპონენტი ჰყავს იმ მუხლს, რომელშიც ლაპარაკია ეკონომიკურ, სოციალურ და სამართლებრივ დარგებში თანამშრომლობაზე.

— წესდების მე-19 მუხლი ისევე უნდა გავიაზროთ ფუძემდებლური პრინციპების დეკლარაციად და არა კონკრეტულ შეთანხმებად ამა თუ იმ, გნებავთ, ეკონომიკურ, გნებავთ, სოციალურ საკითხზე, როგორც თვით წესდება მთლიანად. აი, რა წერია იქ: „წევრი სახელმწიფოები თანამშრომლობენ ეკონომიკურ და სოციალურ დარგებში შემდეგი მიმართულებებით: საერთო ეკონომიკური სივრცის ფორმირება საბაზრო ურთიერთობებისა და საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და მუშახელის თავისუფალი გადაადგილების ბაზაზე".

მეც მოვისმინე პარლამენტის წევრის ზურაბ მურვანიძის ტელეგამოსვლა, წავიკითხე ბატონ ნოდარ ნათაძის წერილი გაზეთ „საქართველოში" და ა. შ. მართალი გითხრათ, ვერ ამიხსნია მათი გაბოროტება ამ დებულებათა წინააღმდეგ.

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში სახელმძღვანელო პრინციპად დღემდე რჩება რომაული სამართლის პრინციპი „დო უტ დეს" („გაძლევ, რომ შენც მომცე"). გამოდის, რომ სხვებისგან ჩვენ, რაც შეიძლება მეტი რამ უნდა მივიღოთ ისე, რომ სანაცვლოდ თითქმის არაფერი გავცეთ. ასეთი რამ მსოფლიო პრაქტიკაში არ ხდება და ემოციების აბსურდულ ფრქვევაში დრო არ უნდა დავკარგოთ. მით უფრო, რომ დსთ წესდების ეს მუხლი თითქმის კალკია ყველა თანამედროვე ანალოგიური კავშირის წესდებებში არსებული მუხლისა — **განა აბსოლუტურად ანალოგიური მუხლის არსებობამ ევროგაერთიანების წესდებაში ეკონომიკურად სუსტი პორტუგალია ევროპული ტიტანების — გერმანიის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის „მონად" აქცია პოლიტიკური თვალსაზრისით, როგორც ამას ბატონი პარლამენტარები წინასწარმეტყველებენ საქართველოსათვის?**

(დასასრული მე-2 გვ.).

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო წესების მოქმედების გაგრძელების შესახებ

1. **გაგრძელდეს** საგანგებო წესების მოქმედება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1994 წლის 20 იანვრამდე.

2. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტს დაადასტუროს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო წესების მოქმედების გაგრძელება.

ე. შევარდნაძე.

ქ. თბილისი. 1993 წლის 20 ნოემბერი.

საუბარი საქართველოს მინისტრთა კაბინეტში

20 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ მიიღო თურქეთის რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული საქართველოში აჰმედ რიზა დემირერი.

საუბრის დროს განიხილეს ორი ქვეყნის ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების საკითხები. ბატონმა დემირერმა აღნიშნა, რომ საქართველოსა და თურქეთის გეოგრაფიული მდებარეობა დღის წესრიგში აყენებს მათ შორის მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობის დამყარების საჭიროებას. ამიტომ, ცხადია, ორ სახელმწიფოს შორის საზღვარზე უნდა გაიხსნას კიდევ ერთი საკონტროლო-გამშვები პუნქტი, განვითარდეს უფრო მჭიდრო და აქტიური კავშირურთიერთობა თურქ და ქართველ ბიზნესმენებს შორის. მთავარია, უზრუნველყონ ორივე ქვეყანაში ტვირთის ტრანსპორტირების უსაფრთხოება.

ბატონმა ოთარ ფაცაციამ განაცხადა, რომ უახლოეს ხანში შემუშავდება სპეციალური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ტვირთის ტრანსპორტირების უსაფრთხოებას. რაც შეეხება სავაჭრო ურთიერთობას, როგორც მან თქვა, მალე თურქეთში გაიხსნება საქართველოს სავაჭრო ცენტრი, რომელიც ხელს შეუწყობს ორ მეზობელ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავებას.

ურთიერთობა ნორმალური ხდება

19 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ჩიქვაიძემ მიიღო საქართველოში რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვ. ზემსკი. მხარეებმა აღნიშნეს, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ნორმალურ კალაპოტში დგება. ელჩმა განმარტა, რომ კონფლიქტების მშვიდობიან მოწესრიგებაში რუსეთს, როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრს, სხვა მიზანი არა აქვს, გარდა სისხლისღვრის სასწრაფო შეწყვეტისა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტის ზონებში.

მინისტრმა გამოთქვა გაგება რუსეთის პოზიციის მიმართ.

იმავე საღამოს კვლავ გაიმართა შეხვედრა მინისტრსა და რუსეთის ფედერაციის ელჩს შორის, რომელმაც აცნობა იმის შესახებ, რომ ქალაქ მოსკოვის მთავრობა მხარს უჭერს საქართველოსა და რუსეთის დედაქალაქებს შორის კულტურული თანამშრომლობის განვითარების იდეას და მზად არის 1994 წლის ნოემბერ-დეკემბერში უმასპინძლოს საქართველოს კულტურის დღეებს. რუსეთის დედაქალაქის მთავრობამ მზადყოფნა გამოთქვა, აგრეთვე, 1995 წლის შემოდგომაზე თბილისში საპასუხო ღონისძიების მომზადების თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური.

გაეროში წარუდგენელი ერებისა და ხალხების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ბატონ მ. ს. ვან უოლტ ვან პრააგს

ჰააგა, ნიდერლანდები

ბატონო ვან უოლტ, როგორც ალბათ, თქვენთვის ცნობილია, აფხაზმა სეპარატისტებმა, რომელთაც თქვენ წარმოადგენთ საერთაშორისო ასპარეზზე, რუსი რეაქციონერების — ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის რუცკოისა და ყოფილი პარლამენტის სპიკერის ხასბულატოვის მორალური და სამხედრო დახმარების მეშვეობით, მოახდინეს საქართველოს განუყოფელი ტერიტორიის ოკუპაცია. კონფლიქტის მიმდინარეობის მთელ პერიოდში ისინი აწარმოებდნენ ოკუპირებული ტერიტორიის ეთნიკურ წმენდას, რომელიც ამჟამად გავრცელდა მთელ აფხაზეთზე. ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის ქართული ნაწილი ანუ მთელი მოსახლეობის 46 პროცენტი (დაახლოებით 250.000 ადამიანი) აიძულეს დაეტოვებინა სამშობლო, ვინაიდან მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ გამოყენებული იქნა ტერორი. რაც აკრძალულია ჟენევის კონვენციებით. მათ აგრეთვე დახვრიტეს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ჟიული შარტავა და სხვა ოფიციალური პირები.

ყველაფერი ეს დაფიქსირებულია ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ (გაერო, ევროთათბირი და სხვ.).

ჩვენი ორი შეხვედრის დროს მე შემექმნა აზრი, რომ თქვენ გაგებით ეკიდებოდით კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს. იქნებ დრო დადგა თქვენ თვითონ საკუთარი თვალით დარწმუნდეთ თქვენს მიერ მხარდაჭერილი რეჟიმის ანტიჰუმანურ არსში. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიქმნება აზრი, რომ თქვენ მხარს უჭერთ არა მარტო სეპარატიზმსა და ქვეყნების აღიარებული საზღვრების რღვევას, არამედ ეთნიკურ წმენდასაც.

ა. კავსაძე,

ადამიანის უფლებათა და ეროვნებათაშორისო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

დაინიშნოს გოჩა ჩოგოვაძე საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

ე. შევარდნაძე.

ქ. თბილისი. 1993 წლის 20 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ხელმძღვანელი მუშაკი, საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი ფინანსთა მინისტრი

ვაჟა გერონტის ძე ჯინჯიხაძე

და სამძიმარს უცხადებს მის ჭირისუფლებს.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

სამხედრო რევიუ

700 მილიონი დოლარი ჯდება

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში შევიდა ახალი წყალქვეშა ატომური ნავი „ჰამპტონი“. ეს „ლოს-ანჟელესის“ ტიპის უკვე 54-ე ნავია. ამგვარი ხომალდების წყალწყვა 6 ათასი ტონაა, სიგრძე 118 მეტრამდე, ეკიპაჟი 115 მეზღვაურისა და 12 ოფიცრისგან შედგება, ხომალდი აღჭურვილია ტორპედოებითა და ფრთოსანი რაკეტებით, მათ შორის ბირთვული ქობინების მზიდი „ტომაჰავკის“ ტიპის რაკეტებით.

თითოეული ასეთი ხომალდის მშენებლობა დაახლოებით 700 მილიონი დოლარი ჯდება.

აშშ ტყუოდა?

„ნიუსუიკი“ იუწყება, ამერიკის შეერთებულ შტატებში ატომური იარაღი გამოსცადეს უფრო ბევრჯერ, ვიდრე აქამდე აღიარებდნენ. ჟურნალი ეყრდნობა ამერიკის პრეზიდენტის ბილ კლინტონის ადმინისტრაციის ინკოგნიტო წყაროს.

„კაასის“ შეხვედრაზე

ამერიკის ქვეყნების არმიების მე-20 კონფერენციაზე („კაასი“), რომელიც ბრაზილიის დედაქალაქში გაიმართა, განიხილეს არმიისა და სამოქალაქო ხელისუფლების ურთიერთმიმართების, სამხედრო იუსტიციისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, სამხედრო მედიცინის საკითხები. ამ შეხვედრაზე „კაასის“ წევრად მიიღეს კანადა. აქამდე იგი მონაწილეობდა კონფერენციებზე, როგორც დამკვირვებელი.

ფხენიანმა თავი მოიფხანა

კორეის ნახევარკუნძულის ორ სახელმწიფოდ გამყოფი სადემარკაციო ხაზის რაიონში ჩრდილოეთმა კორეამ უკანასკნელი დროის განმავლობაში თავი მოუყარა მრავალსამიზნიანი რაკეტების გასაშვებად განკუთვნილ დაახლოებით 240 დანადგარს, 1700 ჰაუბიცს, აგრეთვე 1300 მოდიფიცირებულ საბჭოთა — ტ-62-ტიპის ტანკს, რომლებიც აღჭურვილი არის ლაზერული სამიზნეებით. დაფიქსირებულია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავების 4800 საბრძოლო გაფრენა, რაც ზუსტად სამჯერ აღემატება გასული წლის იმავე პერიოდის შესაბამის მაჩვენებელს. ამჟამად სამხრეთ კორეის სასაზღვრო რაიონებში თავმოყრილია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა საარმიო ქვეგანაყოფის ორ მესამედზე მეტი.

რუსეთისა და საფრანგეთის სამხედრო თანამშრომლობა

რუსეთის თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ანდრია კოკოშინმა საფრანგეთის მოსკოვში ელჩთან პიერ მორელთან ერთად განიხილა სამხედრო დარგში ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები. როგორც ანდრია კოკოშინის აპარატიდან იუწყებიან, მომავალი კვირის დამლევს იგი აპირებს ეწვიოს საფრანგეთის რესპუბლიკას. ვიზიტის დროს ა. კოკოშინს დაგეგმილი აქვს დაათვალიეროს საფრანგეთის თავდაცვითი მრეწველობის უდიდესი საწარმოები, გამართოს მოლაპარაკება რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო-ეთნიკური და სამხედრო-სამრეწველო თანამშრომლობის პერსპექტივის შესახებ.

რას არ აკეთებენ ჩინეთში...

ჩინეთის არმია, რომლისათვის ყოველთვის უმთავრესი იყო სულიერი საწყისი, როგორც ჩანს, ახლა უფრო მიწიერი პრობლემებითაც იქნება დასაქმებული, რადგან ხელი უნდა მოჰკიდოს სრულიად ახალ საქმიანობას. შეიარაღებულ ძალებს, ქვეყნის უშიშროებისათვის ზრუნვასთან ერთად, ამიერიდან მოუწოდებენ შეისწავლონ საბაზრო ეკონომიკის ანბანიც.

შენ რას ფიქრობ, ჯარისკაცო?

ხელყოფილია ქართული მენტალიტეტი

ნაცნობი საქართველო დაინგრა. ნგრევას განაგრძობს ქართველი კაცის მენტალიტეტი, იშლება ქართული ცნობიერების ერთ-ერთი უპირველესი ნიშანი — ოჯახი. დაირღვა პიროვნების განმსაზღვრელი ცნებების ურთიერთკავშირი, საერთოდ, ჩვენს თვალწინ ერთი და იგივე ქმედებას საზოგადოების ნაწილი ზნეობრივად მიიჩნევს, ნაწილი - უზნეოდ. იმდენად გაღრმავდა უფსკრული, რომ ჩატეხილი ხიდის აღდგენა თითქმის შეუძლებელი ხდება. სისასტიკე შეხედულებებისა, პოზიციისა და ნებისმიერი ქმედებისა, ფიქრიც კი, რომელსაც მხოლოდ საკუთარ თავს უმხელ, გადაიქცა ცხოვრებაში აღსრულებულ ნორმად. იყიდება ნამუსი, შინ და გარეთ იყიდება სინდისი. პოზიცია, შეხედულება, მოღვაწეობის ფორმაც.

იმავწამიერად შესაძლებელი გახდა ყველაფერი: უზნეოს, ბინძურის, ნაძირალას გალმერთება. ფიზიკურად და სულიერად მახინჯების, სისხლის სამართლის დამნაშავეების პარლამენტის წევრობა. საკუთარ პროფესიებში ხელმოცარულების გაპოლიტიკოსება. მხოლოდ საკუთარი სიპატარავის გამო მთელი ცხოვრების მანძილზე დაბოღმილების თითქმის გაიდეოლოგება.

ამ უმძიმეს ზნეობრივ ფონზე აზროვნების, ცივილიზებული ურთიერთობების, კულტურის, აღზრდის დეფიციტმა საუკუნეობით შემუშავებული ქართული მენტალიტეტი ხელჰყო. ჭირითობს უზრდელობა, უხამსობა, სიბინძურე, ამოტივტივდა დანაშაული და მოიცვა ჩვენი სახელმწიფოს ნებისმიერი საქმიანობა. პატიოსნებამ, სიმართლემ, სიკეთემ, გულმოწყალებამ უკან დაიხია, დათმო ასპარეზი. ალბათ, გასაგებია, რომ დროებით, მაგრამ როდემდე??? „სანამ პავლე მოვიდაო, პეტრეს ტყავი გააძვრესო“ — უთქვამს ბრძენ ხალხს. სანამ ტყავი გაგვძრობია, მე ჩემი ხედვის სიღრმე-სიგანიდან შევეცდები ანალიზი გავუკეთო იმას, რაც გვჭირს.

საიდან დაიწყო ყველაფერი? ქართული უახლესი ისტორიის მკვლევართ ძალიან უყვართ უკანასკნელი 200 წლის ისტორიის გადასახედიდან შეაფასონ ყველაფერი ის, რაც მოხდა ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზაზე. ცხადია, ერთი სახელმწიფო სატელიტის შიგნით, მაგრამ მკვეთრად გამოკვეთული ქართული ცნობიერების ბაზაზე, ორი საუკუნის მანძილზე ხდებოდა ქართველი ერის გამთლიანება ერის, ნაწილობრივ რელიგიის, ეთნოსის, კულტურული ფასეულობებისა და უმაღლესი იდეის — თავისუფლებაზე ოცნების გარშემო. იმან, რომ 200 წელი საქართველოს თავზე დამოკლეს მახვილივით აღმართული რუსეთის დამსჯელი მანქანა იდგა, მეორე პლანზე გადაწია შიდა კუთხური პრობლემები, პიროვნული ამბიციები. ქვეყნის შიგნით ურთიერთდაპირისპირებას, სისხლის ღვრას, გენოციდს, სამოქალაქო ომებს და მისგან გამოწვეულ ქაოსს რეალურად ხილული ასპარეზი გამოეცალა. 200 წელი მეტნაკლებად მშვიდობიანი გამოდგა საქართველოში მაცხოვრებელი ეთნოსებისათვის. ბრძოლამ ტოტალიტარული სახელმწიფოს უმაღლეს ეშელონებში გადაინაცვლა. კუთხური ამბიციები, იქნებოდა ეს აფხაზეთი, აჭარა, შიდა ქართლი თუ სამეგრელო, დრო და დრო გვახსენებდა თავს, მაგრამ ყველაფერი იმართებოდა მოსკოვიდან ან პეტერბურგიდან და, როგორც წესი, შეიარაღებულ დაპირისპირებამდე, სამოქალაქო ომამდე არ მიდიოდა. სანამ ჩვენ ვიქნებოდით ერთა კავშირში, პრობლემა მხოლოდ სადისკუსიო დონეზე თუ დადგებოდა. თანაც დისკუსიით ხდებოდა მეტად მომძლავრებული ქართული სახელმწიფო და ეროვნული ცნობიერების დამიწება მისი დაშლის, დაქუცმაცების საშიშროების რეალური გამიშვლებით. 200 წელი ომები დამთავრდა, მაგრამ, საქართველოვ, გეშინოდეს მშვიდობის! ეს ყველაფერი ნათელია, ათასჯერ თქმული დიდი თუ პატარა მოღვაწეებისაგან მე-20 თუ მე-19 საუკუნეების მანძილზე. ეს ძალიან საგულისხმოა, მაგრამ არა მთავარი. მთავარი მხოლოდ ჩვენშია.

მთავარია ის, რასაც ჩვენ ვმალავდით 200 წლის მანძილზე, ის, რაც წარმოჩნდა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში. სწორედ ამ ხუთ წელზე მინდა მოგახსენოთ.

1989 წლისათვის საქართველო გახლდათ ინერტული მთავრობისა, შინაგანად სახელმწიფო იდეოლოგიის მიმართ უარყოფითად დამოკიდებული მოსახლეობისა და რამდენიმე ახალგაზრდა დისიდენტის მიერ რეანიმირებული უსახო, უნიჭო, უზნეო და, რაც მთავარია, გამყიდველის ფსიქიკით ჩამოყალიბებული, ლიდერობაზე მეოცნებე სუბიექტის ამარა. იმან, რომ მოძრაობის, რომელმაც თავის თავზე აიღო ერის გათავისუფლების მისია, სათავეში მოექცა უპიროვნო, მხდალი და უზნეო ლიდერი, გავლენა იქონია თვით მოძრაობაზეც. მოძრაობას იმთავითვე დასაშვებად მიაჩნდა სისხლი დაღვრა უმაღლესი მიზნის მიღწევის გზაზე, — აკი ხმამაღლა აცხადებდა ამას 1988-90 წლების მიტინგებზე (საინტერესოა რამდენის და ვისი სისხლის?). მოძრაობამ ყველაფერი, მანამდე არსებული, ქართული ინტერესებისათვის მტრულად გამოაცხადა და მეთოდურად შეუდგა საზოგადოების ცნობიერების დამუშავებას იმ გზით, რომ ის ვინც ჩვენთან არაა, ჩვენი მოწინააღმდეგე, აგენტია, მტერია, მოღალატეა, გამცემია და უნდა აღიკვეთოს! ისე დამუშავდა საზოგადოების ცნობიერება, რომ რიგმა მოღვაწემ, წინა რეჟიმის მიერ პატივცემულმა და ხელმოცარული ადამიანების დიდმა ნაწილმა, ყველა ხელთ არსებული საშუალებით — პრესით, რადიო-ტელევიზიით, ყოველდღიური მიტინგებით, სამთავრობო შეხვედრების დონეზე გამოსვლებით, სამრეწველო, სამეცნიერო და კულტურული ობიექტებიდან კოლექტიური წერილების ორგანიზაციით, საზოგადოებრივი აზრის სისტემატური ბომბარდირებით ხმამაღლა მოითხოვა იმათი ფიზიკური იზოლაცია ვინც მათთან არ იდგა.

აქედან ფიზიკურ განადგურებამდე მხოლოდ საშემსრულებლო მექანიზმის შექმნა იყო დარჩენილი, რომლის ჩამოყალიბებაც დაწყებული გახლდათ და, ჩემი დაკვირვებით, ისეთი უცნაური და აბსურდული ფორმით, რომ გიკვირს სადამდე შეიძლება მივიდეს რუბიკონს გადაცილებული მხდალის, ფსიქიურად გაუწონასწორებელი, იდეაფიქსით შეპყრობილი პიროვნების გაბედვა, იმიტომ, რომ ამ მექანიზმის ამოძრავების შემდეგ, მისი შეჩერება ლოგიკურად მხოლოდ ტერორს შეუძლია, იმიტომ, რომ თვით ეს მოძრაობაც ტერორია, ოღონდ უმდაბლესი ფენის ცნობიერების დონეზე. ბრბოს დონეზე. ეს ისაა, რასაც კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე მხოლოდ რამდენჯერმე მიმართა ადამიანმა და ისიც სულიერად ავადმყოფებმა, კაცობადაკარგულმა მამათმავლებმა ან ანტიქრისტეს და მესიის იდეით შეპყრობილმა ნაძირალებმა.

ძვირად დაუჯდა კაცობრიობას ასეთი ქმედებანი. წარმოიდგინეთ, რად შეიძლება დაჯდომოდა იგი საქართველოს, მის ხუთმილიონიან მოსახლეობას. ეს ასე დაიწყო: ყოველდღე მხატვრის სახლიდან ვუყურებდით და ვუსმენდით მიტინგებს, რომლებზეც დილიდან საღამომდე გაისმოდა მოწოდებები სრულიად საქართველოს მოსახლეობის მიმართ: შეეწყვიტათ მუშაობა, გამოეწვიათ დესტაბილიზაცია, გადაეკეტათ რკინიგზა, გაუცულიყო მთლიანად საქართველო, თბილისში ჩამოსულიყო პრეზიდენტის საშველად ქუდზე კაცი და დაიძრა ის საქართველო, ვისაც არასოდეს არ უმუშავია, ვისი პროფესიონალიზმიც სათუო იყო მაშინაც და ახლაც. დაიძრა ფენა, რომელიც თევზივით გრძნობს თავს ამღვრეულ წყალში.

დაიძრა კრიმინალური სამყაროც. თბილისს მოაწყდა ყველა ასაკისა და კუთხის, პრინციპში უსაქმური ადამიანი. უბინაოდ, უფულოდ, ჩაუცმელ-დაუხურავი. რუსთაველის პროსპექტი, მხატვრის სახლი და „სურათების ეროვნული გალერეა“ იყო მათი თავშესაფარი. დაინგრა, გაიძარცვა მხატვრის სახლი, გალერეა, მთლიანად ქალაქი.

სწორედ მაშინ გახშირდა მანქანების ძარცვა არა მარტო კერძოსი, არამედ სახელმწიფოსი. სწორედ მაშინ იმატა ქალაქში დანაშაულმა: გაუპატიურებამ, ყაჩაღობამ, ქურდობამ. სწორედ მაშინ დაქროდნენ თბილისის ქუჩებში ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს ბატალიონებად მონათლული, მთავრობის მიერ შეიარაღებული ბანდები ლოზუნგებით — „თბილისელებო, გაეთრიეთ თბილისიდან! „ძირს კრიმინალური ინტელიგენცია“! და ა.შ.

ყველა აფეთქებული რკინიგზა, გვირაბი, ხიდი, ანძა, ყველა ცეცხლწაკიდებული ქარხანა, ნავთობის გახვრეტილი მილსადენი, დატაცებული სახელმწიფო ქონება იქიდან დაიწყო და დღეს ხალხის კეთილდღეობაზე დამღუპველად მოქმედებს. ტყუილად ჰგონიათ, რომ ხალხი მთავრობას დაეტაკება. ის ჭკვიანია და ხედავს, რომ თუ დღეს ვინმე რამეს შოულობს ბედკრული საქართველოსათვის, ეს მთავრობაა, მის ნაშრომს კი იპარავენ, ანადგურებენ საკუთარი ხალხის რეალური მტრები, პარანოიკის იდეის მსახურებას რომ ამჯობინებენ საკუთარი ერის მსახურებას.

გროზნოდან კი ხმამაღლა აცხადებდა „მესია“ რომ ჩვენი საქართველო საქართველო არაა, რომ წყალსაც წაუღია ქვეყანა, თუ იგი არ იქნება წინამძღოლი ერისა. ახლა განსაჯეთ, ვინ რისთვის იბრძვის და რა კავშირი აქვს ამას ეროვნულ მოძრაობასთან?

კიდევ ერთი ნიშანი დალავს დღევანდელ დღეს, ესეც ისეთივე გაუგონარი ცბიერებით არის მოფიქრებული, როგორც ყვე[illegible] ზვიადისტთა ლეგიონი, კარვის ქალები, რომელიც მეწინავე ლაშქრის ფუნქციას ასრულებდა ნებისმიერ აქციაში. პირადად შევსწრებივარ კარვის ქალებისათვის ხელფასის დარიგებას.

ქალი გავიდა ოჯახიდან, ერის გამრავლებას, მისი სიწმინდისადმი მსახურებას კერპთაყვანისმცემლობა ამჯობინა. გაიჭრა ქუჩაში, რაც (ყველა აქედან გამომდინარე შედეგით) იმის დასაბამია, რომ საბოლოოდ შეირყევა ის ერთადერთი ისტორიული და ეროვნული სტერეოტიპი, რასაც ოჯახი ჰქვია. თუ ოჯახი დაინგრა, ჩათვალეთ, რომ საქართველო აღარ არსებობს! მერე და, რა მოხდა, კერპი ხომ იქნება! წყალსაც წაუღია ყველა დანარჩენი!..

მეთოდურად, წლიდან წლამდე ყველა საინფორმაციო საშუალებით იბომბებოდა მეტად ფაქიზი, მსხვრევადი შეგრძნება ეროვნული კუთვნილებისა. სახელმწიფო იდეოლოგიის დონეზე მხოლოდ ეროვნული, მხოლოდ ქართული და არა ზოგადსაკაცობრიო ცხადდებოდა უმაღლესად. ამან თავისი უარყოფითი ნაყოფიც გამოიღო. დაანგრიეს ცოდნის მიღების ის მეთოდი, რომლითაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები ათწლეულების მანძილზე ზრდიდნენ ახალგაზრდებს, ვერ შეიქმნა მონონაციონალური პროგრამები. ახალგაზრდობაც სკოლიდან ქუჩაში გავიდა. ეროვნულმა ვერ შეცვალა მსოფლიო სტანდარტები, ხოლო მათ მიმართ დამოკიდებულება განისაზღვრა ერთი ლოზუნგით ყველაფერი ის, რაც ქართული არ არის, გარკვეული დოზით ეროვნული ცნობიერების დაშლის ელემენტებს შეიცავს, ჩვენთვის მიუღებელია. არა პუშკინი, ტოლსტოი, დოსტოევსკი, არა დანტე, პეტრარკა, არა შექსპირი, არა ფრანგები, გერმანელები, ესპანელები! ჩვენ, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ! ვინ ჩვენ? პარანოიკული იდეით შეპყრობილი მავანნი და მავანნი. მაგრამ ჩვენი საქართველო რუსთაველსაც გულისხმობს, ვაჟასაც, ილიასაც, აკაკისაც, გალაკტიონსაც. მაგრამ ვის „დაკარგვია“ ისინი? საქართველოში ხომ მარტო ერთი მწერალი და ერთი პოეტია, ხმამაღლა აცხადებდა ოფიციოზი.

ვაი, სირცხვილო! ვაი, შენ, ჩემო სამშობლოვ, ვის ხელთ იყავი, რა ბეწვზე ხარ გადარჩენილი, თუ კი ხარ გადარჩენილი.

ასე ვდგავართ ერთმანეთის წინაშე ორი საქართველო — ნამდვილი და ყალბი, ბოროტი. ხუთი წელიწადი საკმარისი დროა იმისათვის, რომ ყველას დაენახა ნამდვილი და ყალბი გზა, ეროვნული თავისუფლების მოპოვების გზა. მსოფლიო დღეს ჩვენთანაა, ნუ ვეთამაშებით განგებას, გამოვიყენოთ ეს შანსი იმისათვის, რათა ჩვენც გავხდეთ მსოფლიო ერთა ოჯახის აყვავებული კულტურული, მშვიდი, აღმავალი ქვეყანა.

თუ გვეყოფა ეროვნული სიბრძნე, გადავრჩებით, თუ არა და არც ჩვენ ვყოფილვართ პირველები და, ალბათ, არც ბოლო ვიქნებით იმ ერებში, მიუხედავად უდიდესი კულტურისა, სამუდამოდ რომ გაქრნენ პოლიტიკური რუკიდან.

P.S. დავამთავრე მონოლოგი და იმავ წამს წარმოვიდგინე საზოგადოების ლოიალურად განწყობილი ნაწილი, რომელიც ამ ჩემს გამძაფრებულ მსჯელობას დანაშაულად ჩამითვლის.

კაცმა რომ თქვას, მთელი ჩემი ცხოვრებით, შემოქმედებით, მეც ხომ ლოიალური ვარ, მეც ხომ შემწყნარებლობას ვქადაგებდი და ვქადაგებ დღესაც. მეც ხომ სიყვარული მიმაჩნია გადარჩენის ერადერთ საშუალებად, მეც ხომ მშვენიერების ერთი ჩვეულებრივი მსახური ვარ.

რა ვქნათ ჩვენ, ვისაც ჯერ კიდევ შეგვრჩენია სიყვარულის, შემწყნარებლობისა და მშვენიერების მსახურებიც ჟინი, როცა სიძულვილი მეფობს ქვეყნად, როცა შემწყნარებლობა ცალმხრივია და გაბოროტებას იწვევს, როცა მშვენიერება ყოველწამიერად იბილწება და თახსირდება? რა ვქნათ ჩვენ, როცა ერის უმაღლესი სიწმინდეები ფეხქვეშ ითელება, ცა თავზე გვენგრევა? ხმამაღლა უნდა ვთქვათ სიმართლე და მხოლოდ სიმართლე, უნდა მოვითხოვოთ კანონის ამოქმედება ყველგან, ყველაფერში და ყველას მიმართ.

ჩემის ღრმა რწმენით ეს იქნება გადარჩენის გზაზე ერთ-ერთი ყველაზე აუცილებელი მოძრაობა, რომლის სახალხო მოძრაობად გადაქცევის შემთხვევაში დავძლევთ მეტად ღრმა სულიერ კრიზისს.

თემო გოცაძე
საქართველოს სახალხო მხატვარი,
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

აფხაზეთიდან გოლგოთის გზაგამოვლილო ლტოლვილნო, წაიკითხეთ დასავლეთუკრაინელი კლასიკოსი მწერლის ეს, პირველი მსოფლიო ომის ამსახველი დრამატული სურათი, იქნებ გეცნოთ ზოგი რამ.

ბავშვის მწუხარება

— ვასილიოკ, მოჰკიდე ხელი ნასტიას და ბიძასთან წაიყვანე; აგერ იმ ბილიკით, ტყეს რომ გასდევს, შენ იცი, ოღონდ მსუბუქად ჩაჰკიდე ხელი, ნუ ექაჩები, პატარაა; ხელში კი არ აიყვანო — ჯერ ღონე არ გეყოფა.

ქალს სურდა წამომჯდარიყო, მაგრამ აუტანელმა ტკივილმა მოკაკვა და ისევ დაწვა.

— აბა, მე რა ვიცი, სად წავიყვანო ამ ღამით? შენ კვდები, ჩვენ შენთან დავრჩებით, დილას კი წავალთ. ხედავ, ნასტია, ტყვიამ იწივლა და დედა მოკლა. დამნაშავე აი, შენა ხარ: რასა ბღაოდი, როცა სალდათმა მოინდომა მოხეოდა დედას? რა გენაღვლებოდა? ჩვენ გავრბოდით, ტყვიამ იწივლა... ახლა უკვე აღარ გეყოლება დედა, მოახლედ მოგიწევს წასვლა...

აღარ ლაპარაკობს, მოკვდა. მაგრამ უნდა მიმებგევე, მაგრამ ხელს არ გაბლებ, ახლა ობოლი ხარ. აბა, რაში გამოდგები? როცა ჩვენი მეზობელი ივანიხა მოკვდა, მისი ქალიშვილები მოთქვამდნენ: „დედი“, „დედილო“ სად გეძებოთ, საიდან მოგელოდეთ?“ მაგრამ შენ არ შეგიძლია, მე კი ბიჭი ვარ და არ შემფერის ტირილი...

შეხე, ჯარი შუქს უშვებს იმ ნაპირიდან, თითქოს საცერში ცრიდეს წყალსო, და უცებ გაიელვებს, დაინახავს, სადაა სალდათი, დაახლის ტყვიას, ის კი ეცემა, როგორც დედიკო დაეცა. ჩქარა, მიუწექი დედიკოს, თორემ ახლა წამოვა ტყვიების სეტყვა, გესმის, როგორ წივიან...

ეგერ, ხედავ, დნესტრის გაღმა სალდათები ცეცხლის ტყვიებს ისვრიან ცაში, მაღლა, მაღლა, ტყვია იწევს, იწევს, შემდეგ ქრება, თითქოს თამაშობენ; უჰ, რამდენია!

შეხე, ზარბაზანი: გუ, გუ, გუ: ოღონდ ის ადამიანებს არ ესვრის, ეკლესიას, ან სახლს, ან სკოლას უმიზნებს ხოლმე.

ზარბაზნის არასოდეს შეგეშინდეს. მისი ტყვია ისეთი დიდია, ისეთი დიდი, ჩემოდენა, ბორბლები კი წისქვილის ქვებს მიუგავს. ეჰ, შენ არაფერი არ იცი, სიარულიც გიჭირს, მე კი შემიძლია ტლინჯი ვყარო ცხენივით...

დედიკოს ამოეფარე. ხედავ, ისევ უშვებენ ცეცხლს, მხოლოდ თეთრზე თეთრს, როგორიც მარმაშია. ახლა ჩვენ მოგვაშუქებენ, ხედავ, რა თეთრები ვჩანვართ, ტყვიები კი კვლავ წივიან. აი, როგორც კი მომხვდება ტყვია, მაშინვე მივუწვები დედიკოს გვერდით და მოვკვდები, შენ კი მარტო ვერ გაიგნებ გზას ბიძასთან. არა, სჯობს, ისევ შენ მოგკლას ტყვიამ, მე როგორმე გავაღწევ ბიძამდე, ამბავს მივუტან და ბიძა ორივეს დაგმარხავთ, ეჰე, აბღავლდა! ტყვია განა გატკენს? მხოლოდ დაიწვებს, გაგიხვრეტს მკერდს, სული კი ნახვრეტიდან ამოხტება და მშვიდობით! სახლში კი არ გეგონოს, თავი: რომ გაცივდები არყითაც გზელენ.

— მშია...

— მადლობა ღმერთს! აბა რა მოგცე, როცა დედიკო აღარაა! დედამ მოგცეს, უთხარი დედას, უთხარი! რაო, არ გიპასუხებს დედა? აიღე, აიღე მისი ხელი, ხედავ დავარდება. რაო, ხომ გითხარი? სულელო გომბიო, დედას სული ამოეცალა. ეს სული იყო, რომ ლაპარაკობდა, პურს გაძლევდა, გცემდა კიდეც.

ნასტია, ღმერთმანი მიგბეგვავ. რა გაჭამო. შენ ომს უცქირე, ხედავ, რა ლამაზია? დილით კი ბიძასთან წავალთ და ბორშს შევხვრეპთ. დაიცა, დედას უბეში პური უნდა ჰქონდეს... გაჩუმდი, დედას ჰქონია პური, ჰა, ჭამე, შე ღორმუცელავ!

ისევ უშვებენ მარმაშს, თეთრივით თეთრს, აგერ ჩვენსკენ მოდის! ნასტია, რა დაგემართა? ტყვია მოგხვდა? ოჰ, საბრალო ნასტენკა, დაწექი, ჩქარა დედიკოს გვერდით... რას იზამ...

აჰ, არა, შენ ტყვია კი არ მოგხვედრია, პური დაულბია დედიკოს სისხლს. აი საზიზღარი გომბიო, ყველაფერს ღორივით თქლეფს. შეხე, სულ გათხუპნულა, ხელებიც სისხლში აქვს მოსვრილი... როგორ გაგატარო დილას სოფელში ასე მოთხუპნული? დამაცადე, ღელეს რომ ჩავუვლით, ისეთი ცივი წყლით დაგბან, სულ გაღრიალებ, მიგტყეპავ კიდეც...

გაძეხი? მაშ დაწექი დედიკოს გვერდით, მეც მოგიწვები. შენ შუაში იქნები და მგელი არ შეგსანსლავს. დაიძინე, მე ცოტა ხანს კიდევ ვუყურებ ამ ომს. შენ გათბი ჩემს გვერდით...

იქნებ ტყვიამ მამაც მოკლა ომში, შეიძლება დილამდე მეც მომკლან, ნასტიაც, და მაშინ აღარავინ, აღარავინ დარჩება...

ჩაეძინა.

განთიადამდე, თეთრი მაშუქის საბურველი თრთოდა მათ თავზე და ნება-ნება მიიწევდა დნესტრის იქით.

1916.

ვასილ სტეფანიკი
(უკრაინა)
მთარგმნელი
ვლადიმერ თორდუა

გვწერენ

თოფიანი კაცი

მახსოვს ფარაჯიანი ცხენოსნები სასაზღვრო ზონიდან ადიგენის მიმართულებით ჩემს სოფელ მლაშეს გაივლიდნენ ხოლმე. ერთი წინ მიდიოდა, ორი უკან მიჰყვებოდა. როგორც ამბობდნენ, წინა კაცი მაღალი ჩინის სამხედრო მოსამსახურე იყო, უკანანი კი — მისი მცველები. ისიც კარგად მახსოვს, ადიგენის მაშინდელ ხელმძღვანელებს, რომლებიც სეზონზე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ამოწმებდნენ ავტომატიანი მცველები არ დაჰყვებოდათ. ეს ყველაფერი ისტორიას ჩაბარდა.

ახლა საქართველოში დავიწყეთ დემოკრატიული სისტემის მშენებლობა, ავირჩიეთ პარლამენტი. ჩვენ ადრეც გვქონდა თითქმის იდენტური მმართველობის ორგანო, უმაღლესი საბჭო, დეპუტატებსაც ხშირად უხდებოდათ რაიონებში ჩასვლა, მაგრამ, როგორც ვიცი, ავტომატებით შეიარაღებული დაცვა არც მათ მიაცილებდა. დღეს კი ჩვენს პარლამენტის წევრებს რისი ეშინიათ, მცველების გარეშე რომ ვერ დადიან სამსახურში? რაიონის გამგებელი, რომელიც დღეს ასრულებს რაიონის ხელმძღვანელის ფუნქციებს, თავის მოადგილესთან ერთად იარაღიანი დაცვით დადის. ქართულ არმიას კი იარაღი აკლია.

საზოგადოება გაკვირვებულია იმით, რომ ზოგიერთ რაიონში ადგილობრივი ახალგაზრდობისაგან აყალიბებენ კარგად შეიარაღებულ გასამხედროებულ ჯგუფებს. ამას ზოგიერთი „მხედრიონს“ ეძახის, ზოგი — რას. ვის სჭირდება ეს, ამ საკითხზე დაფიქრებულა ვინმე?

საქართველოში 85-ზე მეტი რაიონია, გამგებელსა და მოადგილეს თითო-თითო მცველი რომ დავუჯენოთ, ეს უკვე 170 იარაღიანი კაცი იქნება. თითოეულს ხელფასი საშუალოდ 50 000 კუპონი (ცხადია, ამას არ დაჯერდებიან) რომ მივცეთ, ეს ხომ რამდენიმე მილიონია. დაუმატოთ ამას ზემოხსენებული შეიარაღებული ჯგუფები, თავიანთი ხელფასებით და მივიღებთ კოლოსალურ თანხას, ეს მაშინ, როცა ქვეყანას ლამის ტყავი გასძვრეს, როცა ათი-ათასობით ლტოლვილია, ადგილობრივი ადამიანები მშიერ-მწყურვალნი და უსახლკაროდ არიან.

უმჯობესი არ იქნება ის „პირადი დაცვა“ საქართველოს ღირსებას, ერთიან საქართველოს საზღვრებს იცავდეს?

ოთარ გობეჯიშვილი

არმიაში წესრიგის დასამყარებლად

ბოლო დროს სამხედრო მოსამსახურეების პირადობის მოწმობების გამოყენებით გახშირდა მოსახლეობის ძარცვის ფაქტები. ამიტომ თავდაცვის მინისტრმა გამოსცა ბრძანება ახალი პირადობის მოწმობის შემოღების შესახებ. ამის თაობაზე გვესაუბრება თავდაცვის მინისტრის მოადგილე, მთავარი სამხედრო ინსპექტორი, პოლკოვნიკი თამაზ ცხაკაია.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მოსამსახურეების პირადობის მოწმობები ორ კატეგორიად გაიყოფა: ცეცხლსასროლი იარაღის ტარების და შენახვის უფლებით და ამ უფლების გარეშე. ყველა ადრე გაცემული პირადობის მოწმობა ძალადაკარგულია.

ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღის ტარებისა და შენახვის ნება აქვთ თავდაცვის მინისტრსა და მის მოადგილეებს, აგრეთვე მათ თანაშემწეებს და პირად დაცვას, თავდაცვის სამინისტროს სამმართველოების, ცალკეული განყოფილებებისა და სამსახურების უფროსებს, მათ მოადგილეებს და მათდამი თანამდებობრივად თანასწორ პირებს. სამხედრო შენაერთების და სამხედრო ნაწილების მეთაურებს, მათ მოადგილეებს.

სამინისტროს დანარჩენ მოსამსახურეებს ცეცხლსასროლი იარაღის ტარების და შენახვის უფლება მიეცემათ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ბოროტად სარგებლობენ არა მარტო პირადობის მოწმობებით, ფორმით, არამედ სამხედრო მანქანებითაც. ამიერიდან თავდაცვის სამინისტროს ყველა სახის სპეციალური დანიშნულების ტექნიკა აღჭურვილი იქნება ერთი ტიპის სახელმწიფო ნომრებით — შავ ფონზე თეთრი ციფრებით, ასოებითა და წითელი ზოლით. ასეთი ნომრები ექნება მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს და მკაცრად აღირიცხება.

ყველა სამხედრო მოსამსახურე, რომელიც დაარღვევს ამ ბრძანებას, სამხედრო პროკურატურას გადაეცემა.

ეთერ ბაქაძე

დღეს ვაგრძელებთ იმ საწარმოების და დაწესებულებების, მოქალაქეების სიების გამოქვეყნებას, ვინც რესპუბლიკის თავდაცვის ფონდს შეეწია და სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მადლობა დაიმსახურა

წყალტუბოს საგზაო სამმართველო	6661
„საქჰიდროენერგომშენის“ № 2 ასს	1805
ქ.ჭიათურა	
გარემოს დაცვის ს.კომიტეტი	425
გარემოს დაცვის ს.კომიტეტი	539
№5 საშუალო სკოლა	10400
ქვედა უსახელოს საშუალო სკოლა	3000
ს.პ გაერთიანება	1206
სამგზ. ასს-სთან არსებული მც.საწ. „ჯრუჭულა“	174
სამგზავრო ასს	7706
სატვირთო ასს	31769
კავშირგაბმულობის კვანძი	9706
კავშირგაბმულობის კვანძი	10410
ქსელები	50000
შემნახველი ბანკი	2000
შემნახველი ბანკი	10400
ქალაქვაჭრობა	27527
მცირე საწარმო „მაწისი“	20000
მცირე საწარმო „კლდისწყარო“	50000
კოოპერატივი „მოზაიკა“	10000
ადიგენის რ-ნი	
არალის საკრებულო	4500
გორგულის საკრებულო	857
ქედის №2 საშუალო სკოლა	3000
კოოპერატივი „უდე“	60000
ამბროლაურის რ-ნი	
რაიფინგანი	619
სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია	1250
საგზაო სამმართველო	11250
ავტოსატრანსპორტო საწარმო	3720
ელექტროქსელი	10069
ახალქალაქის რ-ნი	
თავდაცვის ფონდი	500
აგარის თემის საკრებულო	5606
ანდრიაწმინდის ს.საბჭო	2952
ანდრიაწმინდის ს.საბჭო	2912
წითელიხევის არასრული საშუალო სკოლა	500
წყალთაშუას არასრული საშუალო სკოლა	940
ბაღდათის № 2 ბავშვთა ბაღი	33
ბაღდათის № 2 ბავშვთა ბაღი	600
ბაღდათის ნორჩ ნატურალისტთა სადგური	500
დიმის № 1 ბ.ბაღი	1285
ზედა დიმის ს.ბაღი	200
მეორე ობჩის № 1 ს.ბაღი	250
მეორე ობჩის № 2 ს.ბაღი	36
მეორე ობჩის № 2 ს.ბაღი	260
პირველი ობჩის № 1 ს.ბაღი	480
პირველი ობჩის № 2 ს.ბაღი	345
ფერსათის ბ.ბაღი	750
წყალთაშუას ს.ბ	240
კავშირგაბმულობა	3819
საკოლმეურნეო ბაზარი	2000
ღვინის სამრეწველო კომერციული ფირმა „ბადე“	4562
ბოლნისის რ-ნი	
თავდაცვის ფონდი	32124
თავდაცვის ფონდი	22304
სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია	1942
„ინდუსტრიაბანკი“	2070
აგრობანკი	36474
ინდუსტრიაბანკი	12445
ბორჯომის რ-ნი	
რაიონული საბჭო	218
ციხისჯვრის საკრებულო	52105
№7 პროფტექნიკური სასწავლებელი	2267
ბაკურიანის ღვთისმშობლის სალოცავი	1500
რკინიგზის № 6 საშუალო სკოლა	2550
№2 ჩამომსხმელი ქარხნის ს.ბაღი	10865
სანატორიუმი „ბორჯომი-ლიკანი“	15220
სანატორიუმი „ფირუზა“	419

სამშობლოს ძლიერებისთვის გაღებული წვლილი

აწყურის თემის საკრებულოს გამგეობა	14260
ახალციხის სოფლის მეურნეობის სამმართველო	737
ახალციხის სოფლის მეურნეობის სამმართველო	65
ელიაწმინდის თემის საკრებულოს გამგეობა	4834
წყალთბილის თემის საკრებულო	10594
კლდის თემის საკრებულო	1962
მინაკის ს.საბჭო	3179
სამელის ს.საბჭო	2675
საშ.სუქ. უბანი	964
საძელის ს.საბჭო	2360
სვირის თემის საკრებულოს გამგეობა	1633
ფერსის თემის გამგეობა	4067
წყურთის თემის საკრებულოს გამგეობა	4363
აბასთუმნის თავდაცვის ფონდი	507
ახალციხის თავდაცვის ფონდი	75174
მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი	3130
არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა განყოფილება	310
ახალციხის სამედიცინო სასწავლებელი	1793
სამედიცინო სასწავლებელი	269
ჭავჭავაძის სახ. №5 საშუალო სკოლა	5000
ვაჭრობის პროფსაბჭო	59
აქატ-დიატომიტის მაღაროთა სამმართველო	3416
აქატ-დიატომიტის მაღაროთა სამმართველო	3392
ახალციხის საგზაო სამმართველო	7501
ტრესტი № 9	9700
რმტპ - 3	15958
სმმპ - 16	4700
მრავალდარგოვანი საწარმო „ტექყოფსერვისი“	152
მესხეთის ელ. ქსელი	13640
აგარის ს.მეურნეობა	516
ახალციხის სატყეო მეურნეობა	2350
ახალციხის სატყეო მეურნეობა	112
ახალციხის სატყეო მეურნეობა	422
ახალციხის სატყეო მეურნეობა	250
ბოგის სახ.მეურნეობა	756
გიორგიწმინდის სას.სამეურნეო საწარმო	1102
მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სა.სამმართველო	5500
მსხვილისის სახ.მეურნეობა	184
ციტანისის სახ.მეურნეობა	900
წირის სახ.სასოფლო-სამეურნეო საწარმო	1451
ახმეტის რ-ნი	
ომის ვეტერანთა საბჭო	1900
კომერციული ფირმა „ფხოვი“	10000
ბაღდათის რ-ნი	
რაიფინგანი	496
საკრებულო	1565
საკრებულო	1880
სოფლის მეურნეობის სამმართველო	854
ვარციხის სოფლის საკრებულო	4464
მეორე ობჩის საკრებულო	260
მეორე ობჩის საკრებულო	1160
პირველი ობჩის სოფლის საკრებულო	1395
ბავშვთა სპორტსკოლა	1240
კულტურის განყოფილება	150
კულტურის განყოფილება	6110
განათლების განყოფილება	685
საბავშვო ბაღი	200
დიდველის დაწყებითი სკოლა	480
დიმის	1270
დიმის № 2 საშუალო სკოლა	1420
დიმის საბავშვო ბაღი	400
ზეგნის საშუალო სკოლა	240
ზეგნის საშუალო სკოლა	860
ზეგნის საშუალო სკოლა	1000
ბაღდათის საშუალო სკოლა	3550
მეორე ობჩის საშუალო სკოლა	390
ნერგეთის საშუალო სკოლა	835
პირველი ობჩის საშუალო სკოლა	1245
ფერსათის № 1 საშუალო სკოლა	2500
ფერსათის № 1 საშუალო სკოლა	1000
წითელიხევის არასრული საშუალო სკოლა	500
წისქვილ-ქარხანა	3137
მინის ტარის ქარხანა	43360
საგზაო-საექსპლოატაციო უბანი	9125
სალიანდაგო დისტანცია	5000
სალიანდაგო დისტანცია	16400
ახალდაბის სატყეო საცდელი სადგური	2385
ბაკურიანი „ია-9“	6800
სატყეო ტექნიკუმი	40000
ბარდაბნის რ-ნი	
ს.გ „საქენერგოთბორემონტი“	56454
სსგ „საქჰიდროენერგომშენის“ საიჯარო ასს-4	24670
აგრობანკი	39788
მრეწვმშენბანკი	253199
ფირმა „გარდაბანსერვისი“	1100
კოოპერატივი „ასფალტი“	100000
გორი	
თავდაცვის ფონდი	7000
არაშენდის საშუალო სკოლა	500
ახალდაბის საშუალო სკოლა	650
კამალეთის საშუალო სკოლა	13000
მერეთის საშუალო სკოლა	2660
მეღვრეკისის საშუალო სკოლა	8650
ნაჭარმაგევის არასრული საშუალო სკოლა	700
ტინისხიდის საშუალო სკოლა	8000
კერეს სკოლა	500
ხელთუბნის საშუალო სკოლა	1500
ხელთუბნის საშუალო სკოლა	1000
გორის პურპროდუქტების კომბინატი	1440
გორის პურპროდუქტების კომბინატი	156
მეჯვრისხევის მეფრინველობის ფაბრიკა	7212
გორის რაიონის საგზაო სამმართველო	18922
გსს „მტკვარწყალმშენი“	12079
საგზაო სამმართველო № 28	17490
სანტექმონტაჟის გორის უბანი	1487
საქწყალმშენის გორის სამშენებლო სამმართველო	1383
სსგ „წყალმშენის“ მექანიზაციის სამმართველო	2079
ბინსოცბანკი	66309
ბინსოცბანკი	41310
მრავალდარგოვანი საწარმოო ფირმა „კვერნაქი“	1053
კოოპერატივი „ფასადი“	1722
არ იკითხება	17800
გორის სატყეო მეურნეობა	8340
ფხვენისის მეურნეობა	11200
გურჯაანის რ-ნი	
თავდაცვის ფონდი	100000
კომერციული საშუამავლო საწარმო	200000
დედოფლისწყაროს რ-ნი	
რაიონის საკრებულო	8000
სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია	1578
დუშეთის რაიონი	
თავდაცვის ფონდი	189418
ბულაჩაურის შ.სართავი ფაბრიკა	50000
ჟინვალჰესის სამშენებლო სამმართველო	95784
ჟინვალჰესის სამშენებლო სამმართველო	190357
ზესტაფონის რაიონი	
სალიანდაგო დისტანციის პროფკომიტეტი	215
„სამტრესტი“ I სვირის ღვინის ქარხანა	50000
კვების პროდუქტების საღებავის ქარხანა	4522
ქარხანა „საქკაბელი“	20000000
რკინიგზის სადგური	29100
სალიანდაგო დისტანცია	22500
სატვირთო ასს	10393
საქენერგოს ელექტროქსელი	36155
კოოპერატივი „ავტომობილისტი“	364800
ზუგდიდი	
თავდაცვის ფონდი	147883
მშენბანკი	2557
თეთრიწყაროს რაიონი	
ღოუბნის რვაწლიანი სკოლა	9000
თეთრი-წყარო	24000
თელავის რაიონი	
თელავის თავდაცვის ფონდი	62288
თერჯოლის რაიონი	
თავდაცვის ფონდი	1200000
თავდაცვის ფონდი	10220
თიანეთის რაიონი	
ნაქალაქარის თემის საკრებულო	2193
[illegible]	[illegible]

დაზუსტება

„აბჯრის“ წინა ნომერში დაბეჭდილ მასალაში „შეეწივნენ“ ხარაგაულის რაიონის მოსახლეობის მიერ გაღებული წვლილი სრულად ასე უნდა იკითხებოდეს: ხარაგაულის რაიონის მშრომელთაგან — 5 მილიონი კუპონი, ოქროს ნაკეთობანი — 12 ცალი (23, 42 გრამი), ვერცხლის ნაკეთობანი — 14 ცალი (130, 95 გრამი).

ასევე შეცდომითაა დასახელებული თავდაცვის ფონდის შემწეთა შორის სახელმწიფო ქონების მართვის ინსტიტუტი. უნდა ეწეროს — მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელმაც ერთი მილიონი კუპონი შეიტანა თავდაცვის ფონდში.

[illegible] ჩვენი, თუ [illegible] უნებური შეცდომების გამო.

აბჯარი
საქართველოს რესპუბლიკა
№33

შემობრუნება

ვ. ეშმაკიც რომ ერიდებოდა...

შფოთიანი დრო, მრუდე სარკეების ჟამი. დრო — ამობრუნებული გველის ტყავი, ილუზიური, როგორც ცირკი.

ცირკი — ავანტიურის ციტადელი, ავანტიურისტთა აკადემია, შეუძლებლის მატერიალიზების უნიკალური შანსი, ალბათობის რეალიზაციის „ჰოც“ და „არაც“, მომნუს ხაობაც მისი — აქედან.

ცირკის ეფექტმა — ჟონგლიორთა და მუშაითთა ტრიუკებმა, კლოუნების ტაკიმასხარობამ ილუზიური სანახაობა რეალობად წარმოაჩინა, იუპიტერების სხივებში მოხტუნავე მეგაფონიანი „პოლიტიკური ფიგურების“ ძაფებზე დაკიდებული „იდეების“ რეალობაში დაარწმუნა მაყურებელი, გაართო და აიყოლია.

შაპიტოს კარვებთან რიგი იმართებოდა ყველგან და ყველა დროში, განსაკუთრებით პოლიტიკური ცირკის შესასვლელთან.

საქართველოში ხომ განსაკუთრებით უყვარდათ კარვები.

ზუგდიდი ვერ გახდებოდა გამონაკლისი, ზუგდიდი — „რეგიონის დაუმორჩილებლობის ცენტრი“ (რადიოსადგური „თავისუფლება“, 24.09). ქალაქი, რომელსაც ყოფილი რეჟიმის ციტადელობა დაჰბრალეს, გაუცხოების მიწაყრილი შემოავლეს, ჩაკეტეს და ჩახერგეს თვითბლოკადის დიდოსტატებმა.

ამის გაკეთება მხოლოდ იმათ შეეძლოთ, ვისაც არასოდეს უყვარებია სამეგრელო. შეძლეს, და გაწირეს გათხრილი და გასათხრელი საფლავებისთვის, ამოუტირალი უბედურებისთვის, გაუხდელი შავებისთვის.

კომიკური და ტრაგიკული ერთდროულად თანაარსებობდა ზუგდიდში.

ერთის მხრივ, — სათამაშო მთავრობა და უზენაესი საბჭო ერთობლივი დადგენილებებით და დეკლარაციებით, რომლებსაც არავინ ასრულებდა და არავინ იღებდა მხედველობაში; სათამაშო ტელევიზია და გაზეთები ხაფანგში მომწყვდეული თაგვის ულტიმატუმებით, და უზარმაზარი ამბიციებით, ერთმანეთს რომ იჭმებოდნენ და კიდევ — ქაღალდზე გადაჰქონდათ, თუნდაც ასე:

„აზერბაიჯანის, რუსეთისა და სომხეთის რესპუბლიკების მთავრობებს

საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობა დაბეჯითებით გარწმუნებთ, რომ რესპუბლიკაში კანონიერების მოქმედების მთელს ტერიტორიაზე, სადაც გადის (ამიერკავკასიის) სარკინიგზო მაგისტრალის ინგირ-სამტრედიისა და ფოთი-სამტრედიის მონაკვეთებზე ტვირთგადაზიდვებისა და მგზავრთგადაყვანის სრულ უსაფრთხოებას უზრუნველვყოფთ საკუთარი ძალებით. მზად ვართ, ზემოთაღნიშნულში დასარწმუნებლად, დაუყოვნებლივ მივიღოთ (ქ. ქ. ფოთსა და ზუგდიდში) რესპუბლიკათა წარმომადგენლები.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბ. გუგუშვილი“. (სტილი დაცულია).

ვის დაჰკარგვიხარ, ვინ გეძებს: ინგირი ფოთსა და სამტრედიას შორის, რამდენიც გინდა, ვის აინტერესებს? მაგრამ მაშინ, აბა, რისი მთავრობაა? — გაიბერა ბაყაყი, გაიბერა... თუმცა, ადლერ-სამტრედიის ქვეტექსტი ხომ არ იკითხება ამ მიმართვაში? აფხაზეთზე გავლით რკინიგზაზე მოძრაობის აღდგენა? საშიში თამაში იყო. იმდენად საშიში, რომ სიკვდილის ცეკვა ერქვა.

ტრაგედია იმით უფრო მძაფრდებოდა, რომ „ჩემს შემდეგ ქვა-ქვაზე ნუღარ დარჩენილა“ რეალიზატორი კერპად გაიხადეს და სერიოზულად ფიქრობდნენ მისი ხელისუფლების აღდგენაზე სრულიად საქართველოში.

ამ „პოლიტიკის“ სამსახურად მოწოდებული იყო აქცენტირებული პროპაგანდა (თუნდაც კომიკური შემსრულებლებით), დაქირავებული ინფორმაციული შეტევა (ტენდენციური მასალებით) უცხოეთის საელჩოებზე, საზღვარგარეთის საინფორმაციო სააგენტოებისა და ტელეკომპანიების, გაზეთების მოსკოვის ბიუროებსა და კორპუნქტებზე (ყველა ამათი ტელეფონისა და ტელეფაქსის ნომრები ზუგდიდის პრესცენტრს ქსეროქსზე გამრავლებული ჰქონდა); ტელეპროგრამა „მაცნეს“, რადიოსადგურ „თავისუფლების“ მიერ გადაცემული სიუჟეტების გაშიფრული ტექსტები, ევროპის გაზეთებში გამოქვეყნებული მასალების აკინძული თარგმანები ნიშნეული წარწერით — „ჩვენზე დაბეჭდილი ინფორმაციები“, ყველაფერ ამას ერთი მიზნისა და დანიშნულებისათვის იყენებდნენ — „ხუნტის“ წინააღმდეგ საბრძოლველად. და არც თუ უშედეგოდ, სამწუხაროდ.

მაგრამ რაც გინდ ტაში და დამარცვლით სახელის სკანდირება ყოფილიყო იქაურ მიტინგებზე, სამეგრელო ვერ მიიღებდა „მშობლიურ“ ობსკურანტებს, რადგან სხვა განზომილებაა იგი, სხვა რეგისტრია და ობივატელის ფაჩუჩებს ფეხსაწმენდად ვერ გაეგება.

ცირკის ეფექტი კი, როგორც კი არენა დაცარიელდება, გაქრება.

რატომ გაჩნდა აქ ის ჭაობი, რომელსაც ეშმაკიც ერიდება? სწორედ იმიტომ, რომ ეშმაკიც ერიდებოდა.

ამაზე გასაგებად მე ვერ ვიტყვი, და საკუთარი კბილებიდან ამომხტარ ოპონენტს პოლიტიკოსებისკენ მივუთითებ — ისინი იტყვიან.

• • •

ხობიდან წამოსულებს ერთი მანქანა შეგვხვდა.

ერთი კვირის წინ კი 151 ჩამოატარეს — მოპარული, მოტაცებული, წართმეული. ხობელებმა დაითვალეს. რას ჰგავს ეს?!

• • •

თოვლჭყაპია და ხეების კენწეროებზე დაწოლილი ღრუბელი. და ის ერთადერთი მანქანა, რომელიც ზუგდიდის შესასვლელთან შეგვხვდა — თავდახურული კუბოთი ძარაზე.

ისევ მგლოვიარე ხალხი, თალხი და თავისი დარდით სასაფლაოს ჭიშკრიდან პირველ მოსახლემდე პუნქტირივით გაწელილი.

სხვა არავინ და არაფერი.

მკვდარი ქალაქი?

პირველი შთაბეჭდილება ერთი დანახვით შეყვარებასავით კატეგორიულია და სულსწრაფი.

დავაკვირდეთ.

ოღონდ გავჩერდეთ.

და დავინახავთ, აჩქარებით როგორ ჩაგვივლის ახალგაზრდა ქალი და ცნობისმოყვარე მზერას მაინც გამოაპარებს ჩვენსკენ; ორი ბიჭი ბოტების ტყაპატყუპით ერთი ეზოდან მეორეში შეირბენს, ქოლგიანი ხანდაზმულები დინჯად ჩაუყვებიან ქუჩას...

ცივა, წვიმს თუ თოვს, და ასეთ ამინდში პატრონი ძაღლს არ გააგდებს გარეთ.

ამიტომ არ არის ზუგდიდის ქუჩებში დღეს ხალხი. ცხადია, არა მარტო ამიტომ, მაგრამ ამიტომაც.

თბილისში რა, სეირნობის ჟინსა ვართ აყოლილი?

შფოთიანი დროა, აკი ვთქვი, — ამობრუნებული გველის ტყავი.

ვალიკო გოგოლაშვილი, ვიცე-პოლკოვნიკი, შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ხელმძღვანელი, ამის დამადასტურებელ კიდევ ერთ ფაქტს დამისახელებს: გუშინ ოპერატიული მანქანით მიმავალ პოლიციელებს, აფხაზეთის ბრძოლებგამოვლილ პოლიციის მუშაკებს თავს დაესხნენ ბანდიტები, ოთხი მოკლეს, გაძარცვეს, ტანსაცმელი გახადეს, როგორც მაროდიორებს სჩვევიათ და ცხედრები მანქანაში დაწვეს. მეხუთე, მძიმედ დაჭრილი, სასწაულად გადარჩა და მისგან გავიგეთ ამ სადიზმის ამბავი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის თანამშრომლები ზუგდიდში პირველ ტანკთან ერთად შევიდნენ. მას შემდეგ აქ არიან.

ინფორმაციასაც, არა მარტო ოპერატიულს, სხვაზე სრულად ფლობენ, ამიტომ, რასაც ვალიკო გოგოლაშვილი ჰყვება, მართალია და სანდო.

— ზუგდიდში, ასე თუ ისე, სტაბილური სიტუაციაა. 11-12 ნოემბერს, ყაჩაღობის არცერთი შემთხვევა არ ყოფილა. პრობლემა სოფლებია, რომლებიც დღემდე დაცარიელია. იქაური მოსახლეობა პოლიციის ძალების შესვლას მოითხოვს.

კრიმინალური ფაქტორის გამოყენება კარგად გათვლილ-გაანგარიშებული ჰქონდათ ზუგდიდის „ხელისუფალთ“. აი, ერთი თვალსაჩინო მაგალითი. ჩვენი ნაწილების ზუგდიდში შემოსვლამდე 4 დღით ადრე ქობალია გავიდა ქალაქიდან. დარჩნენ კონფიდერატები, რომლებიც ადრეც ყაჩაღობდნენ, და სავანგებოდ უმეთვალყურეებოდ დატოვებულებმა იმ დღეებში არნახულად გაძარცვეს ქალაქი. გამსახურდია-ქობალიას ჩანაფიქრით, (წინასწარი ინფორმაცია ამის შესახებ ჩვენმა შესაბამისმა სამსახურებმა დროულად მიიღეს) კონფიდერატების მიერ დარბეულ ზუგდიდელებს ქალაქში შემოსული მთავრობის ძალები თავის მხრივ, კიდევ გაძარცვავდნენ და როდესაც ხალხის გამწარება აპოგეას მიაღწევდა, შემოიჭრებოდნენ ქობალიას რაზმები „ხალხის დასაცავად და გადასარჩენად“, მოსახლეობა მხარს დაუჭერდა „გადამრჩენებს“, აჯანყდებოდა და იარაღის ძალით (იარაღი — კი მოსახლეობას აქვს) გაყრიდა ოფიციალური ხელისუფლების ჯარებს.

თავდასხმა 10 ნოემბერს უნდა მომხდარიყო.

მაგრამ ეს გეგმა-ოპერაცია ჩაიშალა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ დროისათვის ძარცვა-ყაჩაღობა საგრძნობლად შემცირდა და „სახალხო აჯანყების“ ვარიანტიც გამოირიცხა.

თუმცა, პროვოკაციული გამოხდომების საშიშროება რჩება. ენგურისპირა სოფლებში დღესაც გადმოდიან კონფიდერატები და ძარცვავენ მოსახლეობას.

ვალიკო გოგოლაშვილი სანდო ინფორმაციას მაწვდის:

— ამ დღეებში 12 ყაჩაღი იქნა ლიკვიდირებული. ამან დააფრთხო ბანდიტები, რომელთა შორის ბევრია გალიდან გადმოსული, ბოროტმოქმედთა მსხვერპლი გახდა რუხის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე ზაურ თოდუა.

ვიცე-პოლკოვნიკი გოგოლაშვილი არ გამორიცხავს საბოტაჟსაც. ზუგდიდში უკვე აღდგა ხელისუფლება, ბუნებრივია, მისი წარმომადგენლებისგან ხალხი მოითხოვს არა მარტო წესრიგის დამყარებას, არამედ სოციალური საკითხების მოგვარებას. აი, სწორედ ამ პრობლემების, თუ შეიძლება ითქვას, შენარჩუნებაში გამომჟღავნდა საბოტაჟი.

ავტობუსები ზუგდიდში არ მოძრაობს. ირკვევა, რომ გადამალულია, 13 ნოემბერს ავტოსაწარმოს დირექტორი თანამდებობიდან გადააყენეს საბოტაჟისათვის. დაითხოვეს ბაზრის დირექტორი. იმავე საღამოს ბაზარს ცეცხლი გაუჩინეს. ჩააქრეს. ახლა ბაზარი მუშაობს.

— არ ჩანან აქაური ჟურნალისტები, — ამბობს ვალიკო გოგოლაშვილი, — იყო სრული ინფორმაციული ვაკუუმი. იძულებული ვიყავით ჩვენი პრესცენტრის თანამშრომლებთან — გია ვაწაძესთან და ზაზა ბილიხოძესთან ერთად შეძლებისდაგვარად ამოგვევსო ეს სიცარიელე. ასე თუ ისე, აღვადგინეთ სატელევიზიო გადაცემები; ვაჩვენეთ ბატონ ედუარდ შევარდნაძის შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან, გამოვიყვანეთ რაიონის ინტელიგენციის წარმომადგენლები; ისაუბრეს ბატონებმა ზურაბ ჟვანიამ, ირაკლი ქადაგიშვილმა, გია ბარამიძემ, გია ჟორჟოლიანმა...

• • •

ყველა და ყველაფერი ახლა მართლწესრიგის აღდგენაზე, ცხოვრების კალაპოტში ჩაგდებაზე მუშაობს.

გამგეობაში ჩატარებულ შეკრებასაც ეს მიზანი ჰქონდა, ისევე საქმიანი იყო, როგორც ხობში, საკითხიც — იგივეა, რა უნდა გაკეთდეს, რომ რაიონმა ზამთარი გადაიტანოს.

ნიშანდობლივი ფაქტია: რაც რკინიგზიდან, ფოთის ნავსადგურის საწყობებიდან პროდუქცია გაიტაცეს ზუგდიდის ხელისუფლებმა, ზუგდიდში არაფერი დარჩენილა; წაიღეს, გაზიდეს, გაყიდეს.

გაძარცვულია ყველაფერი: გამგეობის [illegible] განსხვავებით, — რაც არძინბას რეჟიმმა აფხაზეთში გააკეთა, იგივე მოიმოქმედა გამსახურდიას რეჟიმმა ზუგდიდში.

ზუგდიდს ახლა ყველაფერი სჭირდება, და რესპუბლიკის ვიცე-პრემიერის ზურაბ კერვალიშვილის დაპირებით ამ თვის ბოლომდე მინიმუმს მაინც მიაწვდიან. ყველაფერი შეთანხმებულია, უკანასკნელ კილოგრამამდე თუ კვადრატულ მეტრამდე.

• • •

ეს წერილი გაზეთში რომ გამოქვეყნდება ზურაბ კერვალიშვილის გუნდი უკვე წალენჯიხაში იქნება, მერე — ჩხოროწყუსა და მარტვილში.

არმაზ სანებლიძე.

• • •

სურათებზე: ზუგდიდის სამეურნეო მუშაკთა თათბირის საქმიან პრეზიდიუმსა და დარბაზში.

ავტორის ფოტოები.

თამაზ ნადარეიშვილი: „უნდა ვიჩქაროთ, ყოველი დღე გვაშორებს აფხაზეთს“

აფხაზეთის პრობლემა კვლავაც ყველაზე მტკივნეულია. მასალების მოძიებას შეუდგა აფხაზეთში მოსახლეობის გენოციდის ფაქტების დამდგენი სახელმწიფო კომისია. ამასთან დაკავშირებით ზოგიერთ საკითხზე განმარტება ვთხოვეთ საქართველოს ვიცე-პრემიერს თამაზ ნადარეიშვილს, რომელიც კურირებას უწევს ამ კომისიის მუშაობას.

— კომისიაში ჩართულია საგამოძიებო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილე ანზორ ბალუაშვილი. იგი პატიოსნად ასრულებს თავის საქმეს. სამუშაო ჯგუფები აგროვებენ ფოტო და ვიდეომასალებს, სხვადასხვა საბუთებს. ერთი ჯგუფი დაკავებულია აფხაზეთის ტრაგედიის შესახებ ბროშურების, მეორე — აფხაზეთის დემოგრაფიული ატლასის, მესამე — ისტორიული ნარკვევების შედგენით...

აფხაზეთში მოხდა სეპარატისტულ-ფაშისტური ხასიათის ამბოხება, რომელმაც ზიანი მიაყენა ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებს. მისი მთავარი ამოცანა იყო მოეწყვიტათ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობიდან. ამიტომ ჩვენმა სახელმწიფომ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღძრას ამ ამბოხების ხელისჩამდგმელთა წინააღმდეგ და გაასამართლოს ისინი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლით, გენოციდის მუხლით. რაც შეეხება საერთაშორისო სასამართლოსა და საერთაშორისო ტრიბუნალს, ვეთანხმები მთავარი სამხედრო პროკურორის ალექსანდრე შუშანაშვილის მიერ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1993 წლის 19 ნოემბრის ნომერში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ეს ძალზე რთული საქმე იქნება, საერთაშორისო სამართლის ნორმებითვე გათვალისწინებით. მაგრამ მასალები მაინც მზად უნდა გვქონდეს. საამისოდ უნდა შეიქმნას ექსპერტთა ჯგუფი. მე უკვე მოვიწვიე 2-2 იურისტი გერმანიიდან და რუსეთიდან, რომლებიც კონსულტაციას გაგვიწევენ, თუ მასალების საერთაშორისო ტრიბუნალზე გადაცემა მოგვიხდება. შესაძლებლობით ვსარგებლობ და აღვნიშნავ, რომ ამ კომისიის მუშაობა მიმაჩნია დიდ ეროვნულ საქმედ, ჩვენი მომავლის, ჩვენი სიმართლის საქმედ, ამიტომ ძალიან ვწუხვარ, რომ კომისიის ბევრი წევრი თავს არიდებს მუშაობას, — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს ბატონმა თამაზმა.

— ამას წინათ გამართულ პრესკონფერენციაზე თქვენ განაცხადეთ, რომ მხოლოდ გალის რაიონში სეპარატისტებმა დახვრიტეს 20 ათასი მშვიდობიანი მცხოვრები. [illegible] ხომ არ არის ეს ცნობა? რაღაც ძალზე დიდი რიცხვია...

— მე ვთქვი, რომ სულ ომის მანძილზე, 1992 წლის 14 აგვისტოდან დღემდე, აფხაზეთში დახვრეტილია 20 ათასამდე მშვიდობიანი მცხოვრები, გაზეთებში კი დაიბეჭდა, გალის რაიონშიო. არის მასობრივი საფლავები, არის უტყუარი მტკიცებანი. დახვრეტილთა შორის არიან აფხაზები, ესტონელები, სომხები, რუსები, ბერძნები. ვინც არ გაიზიარა არძინბას მოწოდება და იარაღით არ ამოუდგა მას მხარში, ვინც, ნეიტრალიტეტს იცავდა და საერთო მობილიზაციის გვერდი აუარა.

— რა მოგველის ხვალ აფხაზეთში?

— ხვალ მოგველის ის, რომ არძინბა ჩაატარებს რეფერენდუმს. მაგრამ მასში მონაწილეობას მიიღებს არა 530 ათასი კაცი, ომამდე რომ ცხოვრობდა აფხაზეთში, არამედ ის, ვინც იქ დღეს დარჩა. არძინბას ასეთი გეგმა აქვს: თუ ომამდე აფხაზეთში მცხოვრები 530 ათასი კაციდან 250 ათასი ანუ 47 პროცენტი ქართველი იყო, აფხაზი კი 80 ათასი, ანუ 17 პროცენტი, რეფერენდუმის დროისთვის ეს რაოდენობა ასე გადანაწილდეს — 47 პროცენტი აფხაზი და 17 პროცენტი ქართველი. ქართველებს, ფაქტობრივად, აღარავითარი „ხმა“ აღარ ექნებათ, ვინც რეფერენდუმში მონაწილეობაზე უარს იტყვის, მათ, უბრალოდ დახვრეტენ. დიახ, არძინბა აუცილებლად დატოვებს ქართველთა ნაწილს, რათა თქვას, ქართველებიც მიჰერენ მხარსო, შეიძლება ზოგიც ტელევიზიით გამოიყვანოს.

ამიტომ ყოველი დღე გვაშორებს აფხაზეთს. ჩვენ კი ეს არც ერთი წუთით არ უნდა დავუშვათ, არ შეიძლება იმის დაშვება, რომ იქ გადამთიელები ჩასახლდნენ და ჩაფესვდნენ.

— როგორ გესახებათ პრობლემის მოწესრიგება?

— მოწესრიგების პოლიტიკური გზა მე ასე მესახება: — 250 ათასი ლტოლვილი შინ უნდა დაბრუნდეს. უპირობოდ და აფხაზეთმა ცნოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ეს პოლიტიკური გზაა. უფრო რეალური მგონია მეორე გზა — ძალისმიერი. ლაპარაკია იმაზე, რომ 250 ათასი ლტოლვილი შინ დაბრუნდეს იარაღმომარჯვებული (ყოველი შემთხვევისთვის). მათ ვერავინ უწოდებს აგრესორებს: რაკი ნებით არ უშვებენ, იარაღით ხელში მიდიან საკუთარ სახლში.

— 29 ნოემბერს ჟენევაში მოლაპარაკება უნდა დაიწყოს. როგორია თქვენი აზრი ამის შესახებ?

— არძინბას ხროვასთან მოლაპარაკება მიუღებელია ჩემთვის. ჟენევის მოლაპარაკებაში, საერთოდ, აზრს ვერ ვხედავ. მაგრამ ეს მოლაპარაკება მაინც უნდა შედგეს, რათა კიდევ ერთხელ დავანახოთ მსოფლიოს, რომ ჩვენ ვესწრაფვით პოლიტიკურ მოწესრიგებას.

— დღეს ბევრს ლაპარაკობენ არძინბასა და ექსპრეზიდენტის მომხრეთა ალიანსზე. თქვენ რას გვეტყოდით?

— ჯერ კიდევ აფხაზეთში ჩემი ყოფნისას ჰქონდათ არძინბასა და ქობალიას მომხრეებს მოლაპარაკება ზუგდიდში, გუდაუთაში, გროზნოსა თუ მოსკოვში. მხოლოდ ერთში ვერ თანხმდებოდნენ: სად გასულიყო საზღვარი — ღალიძგასთან თუ ენგურთან. ე. ი. რომელ „სახელმწიფოში“ დარჩენილიყო გალი.

სიტყვამ მოიტანა და გალის პრობლემა, მოსალოდნელია, უფრო ადრე გადაწყდეს, ვიდრე საერთოდ აფხაზეთისა. გამორიცხული არ არის არძინბა წავიდეს იმაზე, რომ შეელიოს, რეფერენდუმამდე და არჩევნებამდე „მოიკვეთოს“ 100 ათას კაციანი მთლიანად ქართული რაიონი.

რეპლიკა

ნაკლები ამბიციები, მეტი თავმდაბლობა, კოლეგავ!

როდესაც აქ რამდენიმე დღის წინ „ალიონის“ წამყვანმა ახალგაზრდა საერთაშორისო მიმომხილველის ჯოჯუას დებიუტზე გვამცნო და ეკრანზე სანდომიანი გარეგნობის ყმაწვილი ვიხილე, ამ ფაქტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიმინიჭებია; რაც მეტ ახალგაზრდას დაუთმობს ეკრანს ტელევიზია, მით უკეთესია, მაგრამ ერთი „პატარა“ დეტალის გათვალისწინებით — მხოლოდ ახალგაზრდობა ინდულგენცია არ არის, მაყურებელს პატივისცემით უნდა მოვეპყროთ, ტელეეკრანი საცდელი პოლიგონი არ არის.

ახლა, რაც შეეხება ბატონ ჯოჯუას; ამჯერად მის მხოლოდ ერთ 18 ნოემბრის მიმოხილვას შევეხები: 3-4-წუთიან გამოსვლაში მან მოასწრო ჰენებით „შემოერბინა“ პლანეტისთვისაც (თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ სწორად განსაზღვრა პრიორიტეტები) და იმის დროც მოიტოვა, რომ ორჯერ რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსათვისაც „გადაევლო“.

ღმერთმანი, არც საჯაროობის მოწინააღმდეგე ვარ და არც რომელიმე უწყება მიმაჩნია კრიტიკისათვის ნაკრძალ ზონად, უბრალოდ დიდი განსხვავებაა საფუძვლიან კრიტიკასა და არაარგუმენტირებულ განქიქებას შორის.

როდესაც ქვეყანაში ვერც ერთი უწყება ვერ მუშაობს უზადოდ (თვით უმაღლესი ხელისუფლების ჩათვლით), წუნი ალბათ საგარეო საქმეთა სამინისტროსაც მოეძებნება, მაგრამ, როდესაც კრიტიკა ან საკუთარი რენომეს თვითდამკვიდრების ამბიციური სწრაფვით არის გამოწვეული, ან ვიღაცის სოციალური დაკვეთაა (მაპატიოს კოლეგამ, მაგრამ ამჯერად მისი „კრიტიკა“ უკანასკნელს უფრო წააგავდა), ამას უკვე სულ სხვა სახელი ჰქვია.

და კიდევ, ერთი მეგობრული რჩევა კოლეგას — მეტი თავმდაბლობა და უბრალოება. ულამაზოა, როდესაც ყმაწვილკაცი მილიონობით მაყურებლის წინაშე თვითკმაყოფილი კეკლუცობით „იმედს გამოთქვამს“, რომ მისი კრიტიკა გათვალისწინებული იქნება და ამიერიდან საგარეო საქმეთა სამინისტრო უკეთ იმუშავებს.

სოსო ცინცაძე.

საქართველო — ფოლადი უროსა და გრდემლს შუა

(დასასრული)

საერთოდ კი, ცხადია, ყველა ამგვარი „თანამეგობრობა“ გარკვეული ზომით ზღუდავს შემავალი სახელმწიფოების სუვერენიტეტს. მაგრამ ხომ ცნობილია, რომ „ამაყი ალბიონიც“ — დიდი ბრიტანეთიც კი იძულებული აღმოჩნდა ქედი მოეხარა ეკონომიკური აუცილებლობის წინაშე, ხოლო ცოტა ჩვენზე უკეთეს ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ნეიტრალური შვეიცარია სერიოზულად განიხილავს მაასტრიხტის ხელშეკრულებასთან ინტეგრირების შესაძლებლობას?

— თანამეგობრობაში შესვლის მოწინააღმდეგეებს თავიანთი პოზიციის დასასაბუთებლად მკაფიო მოსაზრებანი და მტკიცე საფუძველი არა აქვთ და, ჩანს, არც ცხოვრება და მისი კანონები ესმით სხვებზე უკეთ. მხოლოდ ზოგად მოსაზრებებს გამყვირიან. სახელმწიფოს მეთაურს უკიჟინებენ — სწრაფად იცვლისო მოსაზრებებს. რადიკალურად განსხვავებული ნაბიჯი გადადგაო, დსთ-ში შესვლაზე ხელმოწერას გულისხმობენ...

— ასეთ საკითხზე მსჯელობისას, როგორიც დსთ-ში შესვლაა, ჭეშმარიტმა პოლიტიკოსმა საღად უნდა ასწონ-დასწონოს ალტერნატიული შესაძლებლობანი, ვითარების პოლივარიანტობა. პოლიტიკა მრავალწახნაგოვანი მოვლენაა და პოლიტიკოსის ამოცანა რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტიდან ოპტიმალურის ამორჩევაა — ცივი გონებით, სერიოზული გაანგარიშებით და არა გულის ხეთქვითა და ყელის იოგების ხლეჩით ნებისმიერ ტრიბუნაზე. ტელევიზორის ეკრანი იქნება ეს, თუ გაზეთის ფურცელი.

პოლიტიკოსმა უნდა გაითვალისწინოს და, თუ გნებავთ, იხელმძღვანელოს კიდეც XX საუკუნის ერთ-ერთი დიდი პოლიტიკოსის, საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის შარლ დე გოლის შესანიშნავი პოსტულატით: „პოლიტიკა არის რეალობებზე დაფუძნებული ხელოვნება“.

პოლიტიკოსს უნდა ჰქონდეს უნარი, რომ კონკრეტული ისტორიული ვითარების შესაბამისად, თუნდაც, რადიკალურად შეცვალოს კურსი, თუ კი ეს ცვლილება მის ხალხს, მის ქვეყანას სიკეთეს მოუტანს.

ეს კი ყველას წილხვედრი როდია. უფრო მეტიც — პოლიტიკოსად უნდა დაიბადო,

კონკრეტულ შემთხვევაში საკითხი ასე უნდა დავაყენოთ: სხვა რა გზები გვქონდა? ამისთვის კი გულდინჯად, ღრმად და საფუძვლიანად უნდა ვიცოდეთ როგორც დიდი ილია იტყოდა ხოლმე — რანი ვყოფილვართ, რანი ვართ და რანი ვიქნებით; რა გაგვაჩნია და რა შეგვიძლია, რამდენად სასურველი პარტნიორები ვართ სახელმწიფოთა ამა თუ იმ ერთობლიობისათვის.

— ასეთი ინფორმაციის მოპოვება კი ყველაზე უფრო თქვენს სამეცნიერო ცენტრს ხელეწიფება.

— ამჟამად მხოლოდ გარკვეულ წილად. ჩვენი დუხჭირი სინამდვილის პირობებში, ჩვენ მაინც ვცდილობთ სამეცნიერო, ზოგადპოლიტიკური, საერთაშორისო ურთიერთობათა შესახებ ინფორმაციის გენერირება მოვახდინოთ და ყველაფერი ეს შეძლებისდაგვარად ქართულ საზოგადოებას გავაცნოთ. ამაზე ყურადღებას იმიტომაც ვამახვილებ, რომ ჩვენს საზოგადოებაში საკმაოდ ღრმადაა ფესვმოკიდებული აზრი — რუსეთი რად გვინდა. როცა დასავლეთი დღენიადაგ ჩვენზე ფიქრობს. რომ ჩვენ, ქართველები დასავლეთის ორიენტაციის ხალხი ვართ და ჩვენი გეოპოლიტიკური თვალთახედვა ევროპისა და ამერიკისაკენ უნდა იყოსო მიპყრობილი. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, საინტერესო იქნება ჩვენი სერიალის: „პოლიტიკა და საზოგადოება“ ერთ-ერთი მორიგი კრებული, რომელშიც გამოქვეყნდება დიდ ბრიტანეთში გამომავალ გავლენიან ყოველკვირეულში: „ეკონომისტი“ დაბეჭდილი სტატია „თავდაცვა XXI საუკუნეში“ მისი ავტორი, ცნობილი პოლიტოლოგი ბრაიან ბიდჰემი წერდა: **„საბჭოთა კავშირის დაშლა ნიშნავს, რომ 1992 წელს აღარავინაა ისეთი, ვისაც დემოკრატიული ქვეყნებისათვის, გლობალური მასშტაბით სამხედრო უსიამოვნებების მიყენება შეეძლება, ასეთი დიდი მოწინააღმდეგის გაუჩინარება ბრწყინვალე საქმეა, მაგრამ არც თუ ისეთი, როგორსაც ელოდნენ. კომუნიზმის კრახს არ მივუყვანივართ მოსალოდნელ შედეგამდე. ან თუნდაც, მცირე, არაგლობალური უსიამოვნებების შემცირებამდე. პირიქით, ასეთი მიზეზები უფრო გამრავლდა.**

ეს აიხსნება იმით, რომ „ცივ ომს“ ერთი დამსახურება ჰქონდა: ეს იყო დისციპლინის სისტემა. ახლა, როცა აღარაა „ცივი ომი“, ქვეყანას, რომელსაც თავდასხმით ემუქრებიან, დახმარებისათვის მხოლოდ „ცივ ომში“ გამარჯვებულ დემოკრატიული ქვეყნების ალიანსს შეუძლია მიმართოს.

მაგრამ ძნელია ჰქონდეს დემოკრატიული ქვეყნების დახმარების იმედი. მათ კომუნისტური ხელისუფლების ექსპანსიის საფრთხე აღარ ემუქრებათ და ამიტომ, არა აქვთ სურვილი, ჩაებან ბრძოლაში, თუნდაც, იმიტომ, რომ საზღვარგარეთ მათ ამომრჩეველთა შვილები შეიძლება დაიღუპონ“.

თუ ჩვენ არ გავათვითცნობიერეთ ის. რომ დასავლეთი, დემოკრატიული ქვეყნები არასოდეს ჩაებმებიან ბრძოლაში, ჩვენი საშინაო პრობლემების მოსაგვარებლად, თუ რეალისტურად არ შევაფასეთ ჩვენს გეოპოლიტიკურ სივრცეში ამჟამად არსებული ვითარება, შეიძლება გამოუსწორებელ შედეგებამდე მივიდეთ და კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდეთ.

— ისტორიამაც არა ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ჩვენი გულისთვის რუსეთს არავინ მოიმდურებს.

— ვინ ვართ ჩვენ და რა შეგვიძლია? რა გეოპოლიტიკურ სივრცეში ვარსებობთ და რას უნდა ველოდეთ, პირველ რიგში მეზობლებისაგან? აი, რა არის მთავარი ამა თუ იმ პოლიტიკური გაანგარიშებისთვის.

გახსოვთ, ალბათ, 1988 წლის მიწურულის სისხლიანი კონფლიქტი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, რომელიც ცოტა ხნით საშინელმა მიწისძვრამ მიაჩუმა. მაშინ მე ვწერდი:

„...ნათელი უნდა იყოს, რომ სტიქიის ქარიშხლით გამოწვეულმა შოკმა, ვფიქრობ, მხოლოდ მცირე ხნით მიაყუჩა ის პოლიტიკური ქარიშხალი, ამიერკავკასიაში რომ მძვინვარებდა ამ ცოტა ხნის წინათ და რომელმაც ქართველი ერის წინაშეც დასვა ერთბაშად მრავალი საჭირბოროტო პრობლემა.

აქ საქმე სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების ცალკეულ წარმომადგენელთა (ექსტრემისტებში, როდი იყო მხოლოდ, ის, ვინც ამიერკავკასიისა და მისი შემოგარენის ისტორიას მეტნაკლებად მაინც იცნობს, ნათლად დაინახავს: XX საუკუნის მიწურულში ეს ვითარება თითქოს ფერფლწაყრილ კოცონს მოგვაგონებს, მსოფლიოს ორ უდიდეს რელიგიას, ორ ცივილიზაციას — ქრისტიანობასა და ისლამს შორის რომ გიზგიზებდა გასულ საუკუნეებში, არაერთხელ რომ დააყენა ამ რეგიონის ხალხები ფიზიკური ყოფნა-არყოფნის, არსებობის შენარჩუნებისა თუ მივიწყების უფსკრულში გადაჩეხვის საფრთხის წინაშე.

ყურადღებამისაქცევია ისიც, რომ თანამედროვე ისლამი სრულიადაც არაა წარსულში ჩალაგამოცლილი ობსკურანტული მოძღვრება; რომ იგი — სოლიდურად მოდერნიზებული, ერთგვარ რენესანსს განიცდის და რომ მის ზურგსუკან ჩვენს საზღვრებთან 50 მილიონიანი შიიტური ირანი და 58 მილიონიანი სუნიტური თურქეთი დგას.

ეგებ ვინმეს ჰგონია, რომ ან ერთს, ან მეორეს, საქართველოს სიყვარულში უთენდება ღამე? რომ გაჭირვების ჟამს ისინი გულმხურვალედ და თავდადებულად დაუჭერენ მხარს მათ მიერ მრავალტანჯულ საქართველოს?

გზად მომავლისკენ!

„სიყვარული ჩვენი ჩვენის სამშობლოსი თავით თვისით წარმოადგენს იმ ნაყოფიერს ნიადაგს, რაზედაც იზრდება და ჰხარობს ჩვენი ერთგულობა და სიყვარული რუსეთისა. ეს ჩვენი სიყვარული ჩვენის სამშობლოსი იგი მაგარი და შეუმდგომელი ჯაჭვია, რომელიც აერთიანებს ჩვენს ზრახვასა და სასოებას უკეთესს რუსთა ზრახვასა და სასოებასთან, სწორედ ამ ჩვენის სამშობლოს სიყვარულში უნდა მოიძებნოს ნასკვი ნაწილთა დაახლოვებისა და გაერთიანებისა მთელთან საკეთილდღეოდ ყოველთა და ყოვლისათვის“. („ივერია“, № 230, 1899, გვ. 3, „ცნობის ფურცელი, № 949, 1899, გვ. 2).

ილია ჭავჭავაძე.

მოვიგონოთ თუნდაც ის, რომ სულ ცოტა ხნის წინათაც გამოკიდებულმა აიათოლა ხომეინიმ მრავლისმეტყველად გამოაცხადა: — „საქართველოს მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი ირანის კუთვნილებააო“.

სულ ახლახან კი, გავლენიანმა დასავლეთგერმანულმა ყოველკვირეულმა გაზეთმა: „დი ცაიტ“ ცნობილი პოლიტოლოგის, ჰარვარდის უნივერსიტეტის ოლინ-კოლეჯის დირექტორის, პროფესორ სემიუელ ჰანტინგტონის დიდი წერილი დაბეჭდა სათაურით — „კულტურების ბრძოლაში“, რომელშიც იგი, ჩემთვის მოულოდნელად, ზუსტად იმავე აზრს ანვითარებს, მხოლოდ გლობალურ ასპექტში.

აი, ერთი ნაწყვეტი ამ სტატიიდან: „მომავალი მსოფლიოსათვის ძირითადი მახასიათებელი შვიდ ან რვა კულტურას შორის ცვალებადი ურთიერთობანი იქნება. დასავლური და ისლამური კულტურების ფრონტის ხაზზე 1300 წელზე მეტი დაძაბულობაა. ამჯერად კი, საუკუნოვანი კონფლიქტები შეიძლება კიდევ უფრო გაღრმავდეს, ასეც არის — სულ უფრო მეტად ღვივდება კონფლიქტები ისლამის ჩრდილოეთ საზღვრებზე ორთოდოქსულ და მუსლიმურ ხალხებს შორის. ასეთია საშინელი ომი ბოსნიასა და სარაევოში, მზარდი ძალადობანი სერბებსა და ალბანელებს შორის, ბრძოლები ინგუშებსა და ოსებს შორის, და გაუთავებელი ომი სომხეთ-აზერბაიჯანს შორის“.

სწორედ ჩვენ, ქართველები ვდგევართ ამ ბობოქარი საშიშროების წინაშე. სწორედ ჩვენ ვართ, საუბედუროდ, საოცრად მძიმე გეოპოლიტიკური არეალის ტყვეები — შემორკალული მუსლიმური თურქეთით, ირანით, აზერბაიჯანით, ჩრდილოეთ კავკასიაში ისლამის მიმდევარი ტომებით, რომლებთანაც ბრძოლას რუსეთი, სხვათა შორის, ჩვენთან ერთად, 30-ზე მეტი წელი მოუნდა.

ნუ დაგვავიწყდება, რომ მსოფლიოში ისლამმა საოცარი აღზევება განიცადა, რომ ისლამურ სახელმწიფოთა ხელთ კოლოსალური ეკონომიკური ძალაა კონცენტრირებული ნავთობდოლარების მეშვეობით და, აქედან გამომდინარე, უახლესი იარაღით აღჭურვის შეუზღუდავი შესაძლებლობაც.

ნათლად უნდა გავიაზროთ, რომ ამჟამად ჩრდილოეთ კავკასიის ისლამური რესპუბლიკები, შავ ზღვას,, ე. ი. გარე სამყაროს ორი ქრისტიანული რეგიონით იყვნენ მოწყვეტილი — საქართველოს რესპუბლიკით და კრასნოდარის მხარით, თავისთავად ცხადია, რომ რუსეთთან „შეთამაშება“ ჩრდილოკავკასიელ „კონფედერატებს“ იოლად არ შეეძლოთ, მით უფრო, შამილის ეპოპეის მწარე გამოცდილების შემდეგ.

ჩემი ღრმა რწმენით, მათ სუსტი რგოლი, სრულიად გააზრებულად, საქართველოში, კერძოდ, ასევე ისლამისტურად განწყობილ აფხაზეთში ჰპოვეს. აფხაზეთი მათთვის სარკმელია, თუ გნებავთ, ჭიშკარი, რომლის გაჭრა ფართო სამყაროსაკენ, მათი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით, მათთვის სრულიად აუცილებელი ჩანდა. ამიტომ, ჩვენ კარგად უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ჩეჩენ, ყაბარდოელ და ადიღელ „ბოევიკებს“, (უკეთესი იქნება, თუ ვიხმართ ტერმინს „მოთარეშეები“), დიდი გასამრჯელო, ან აფხაზეთში სახლების დაკავება როდი აინტერესებთ, არამედ სტრატეგიული მიზანი ამოძრავებთ — მათი სულიერი მოკავშირის, თურქეთისაკენ. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ თურქეთის მმართველ წრეებში დღესაც ღრმადაა გამჯდარი იდეა „დიდი თურანის“ შესახებ — ჩინეთიდან ხმელთაშუა ზღვამდე. რა თქმა უნდა, ყველა მეზობელთან კეთილგანწყობილი, მოყვრული ურთიერთობა უნდა გვქონდეს, მაგრამ ამავე დროს, არასოდეს უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენთვის საბედისწეროდ ჩვენ ის ქვეყანა ვართ, პროფესორ სემიუელ ჰანტინგტონის მიერ მითითებულ ფრონტის ხაზზე რომ არის მოქცეული და რომელიც ფოლადის ნაჭერს მოგვაგონებს — უროსა და გრდემლს შორის. ცხადია, რომ ეს გეოსტრატეგიული მოსაზრებანი უცხო არ არის რუსეთის მმართველი წრეებისათვის. ჩვენ ეს ფაქტიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ.

— მაგრამ ჩვენც ხომ ვჭირდებით რუსეთს?

— რა თქმა უნდა.. ბევრმა შეიძლება, არც კი იცის, რომ საბჭოთა კავშირის საზღვაო ვაჭრობის 40 პროცენტი არა ბალტიის ზღვაზე, არამედ შავ ზღვაზე მოდიოდა. იმ ორომტრიალში, რომელიც სსრ კავშირის დაშლის შედეგად დაიწყო, რუსეთმა პრაქტიკულად შავი ზღვის სანაპირო ზოლი ყირიმითურთ უკრაინის სასარგებლოდ დაკარგა, მაშასადამე, დაკარგა შავი ზღვის უმნიშვნელოვანესი ნავსადგურები და კინაღამ სამხედრო-საზღვაო ფლოტიც. ბუნებრივია, რომ ისეთი დიდი სახელმწიფო, როგორიც რუსეთია, ყველანაირად შეეცდება, ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობა მისთვის ესოდენ საჭირო საყრდენად ივარაუდოს ამ რეგიონში და არა გაავებულ მტრად. განა ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ იმისათვის, რომ ეს ტენდენცია საქართველოს სასარგებლოდ გამოგვეყენებინა?

საქვეყნოდ ცნობილია, რა უზარმაზარი სარგებელი მოუტანა ფილიპინებს ამერიკის მიერ იჯარით აღებულმა ორმა სამხედრო-საზღვაო ბაზამ — სუბიკ-ბეიმ და უილუს-ფილდმა — მილიარდობით დოლარის გადასახადებით. არ მესმის, რატომ არ შეიძლება, ფილიპინების მსგავსად, რუსეთმაც გამოიყენოს ჩვენი პორტები და სოლიდური იჯარა გადაგვიხადოს,

— ვფიქრობ, რომ ჩვენს ჩამკვდარ ეკონომიკას ეს უთუოდ წაადგებოდა, გარდა ამისა, ეკონომიკის ფეხზე დაყენების რა გზა. რა საშუალებები არსებობს?

— ამას წინათ, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ცნობილ ჟურნალში „მსოფლიო ეკონომიკა და საერთაშორისო ურთიერთობანი“ ძალზე საინტერესო სტატია გამოქვეყნდა სათაურით: „საბჭოთა კავშირი: 15 ყოფილი რესპუბლიკის გამოსათხოვარი სტატისტიკური პორტრეტი“. მასში ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ეკონომიკის განვითარების ობიექტური, მეცნიერული ანალიზია გაკეთებული. აქ სადაც ნათლად ჩანს, რომ ჯერ კიდევ სამიოდე წლის წინ, საქართველო შრომის ნაყოფიერების დონით მეათე ადგილზე იყო, ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წლიური წარმოებით მეცხრე, ხოლო საშუალო თვიური ხელფასის დონით მე-11 ადგილზე. ეს მონაცემები მხოლოდ და მხოლოდ იმას ადასტურებენ, რომ ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა უკვე მაშინ არ იყო სახარბიელო. ახლა კი, როცა ჩვენ წარმოუდგენელი ბარბაროსობით ვანგრევთ ჩვენსავე ქვეყანას, როცა წარმოებული ეროვნული შემოსავლის მოცულობა ბოლო ორ წელიწადში 70 პროცენტით შემცირდა და ფანტასტიკური ინფლაციის შედეგად მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სიღატაკის ზღვარს დაბლა ეშვება, ზვავისებური სისწრაფით, მაპატიეთ ეს უხეში გამოთქმა და ნუთუ ვინმე ჭკუათმყოფს ჰგონია,, რომ ჩვენი გავერანებული ეკონომიკით ვინმესათვის რაიმე ინტერესს წარმოვადგენთ?

ევროპის ეკონომიკურ კავშირში ჯერჯერობით არ მიუღიათ უნგრეთი, ჩეხეთი და პოლონეთი, რომლებიც მათთან სულიერადაც უფრო ახლონი არიან და რომელთა ეკონომიკაც ჩვენთან შედარებით გაცილებით მაღლა დგას. არის კი პერსპექტივა იმისა, რომ უახლოეს 10 წელიწადში ჩვენ შევძლებთ ევროკავშირში მიგვიღონ — ზურგზე აკიდებულ ტვირთად?

— როგორც ჩანს, ნატო-ში ჩვენი გაწევრიანების შესაძლებლობაც მნიშვნელოვან. წილად რუსეთზე იქნება. დამოკიდებული?

— ყოველ შემთხვევაში, ჯონ მალხაზ შალიკაშვილზე არა, რომელიც ჩვენთვის ჩვეული აფექტურობით ლამის ახალმოდურ ფეოდალად ვაქციეთ კახეთში; რადგანაც მას, მიუხედავად მისი მაღალი სამხედრო პოსტისა, პოლიტიკური ხაზის გატარებაში, არავინ არაფერს ეკითხება — რასაც უბრძანებენ, იმას გააკეთებს. ჩრდილოეთ ატლანტიკის ორგანიზაციამ ჯერჯერობით საკუთრივ ევროპის უმწვავეს კონფლიქტში — ყოფილი იუგოსლავიის ჯოჯოხეთში ვერა გააწყო რა და არა მგონია, ახლა კიდევ ერთი თავსატეხი პრობლემა აიკიდოს — საქართველოს სამოქალაქო ომის სახით. აკი განაცხადა კიდეც ამას წინათ აშშ. სახელმწიფო მდივნის სპეციალურმა მრჩეველმა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების პრობლემებისათვის, ცნობილმა „სოვეტოლოგმა“ სტროუბ ტელბოტმა: „შეერთებულ შტატებს არა აქვთ განზრახული წარმოადგინონ დეტალური გეგმები იმისა, თუ როგორ უნდა მოწესრიგდეს კონფლიქტები ყოფილ საბჭოთა კავშირში, რომელთა უმრავლესობა ძირძველი ეთნიკური სიძულვილით არის წარმოქმნილი. ჩვენ ასევე არ გვაქვს განზრახული, ჩვენს თავზე ავიღოთ შუამავლის როლი რეგიონის დამოუკიდებელი სახელმწიფოების ურთიერთობებში“.

ასეთ ვითარებაში, ურიგო არ იქნებოდა, თუ მოვიგონებდით დიდი ილიას მიერ ჯერ კიდევ 1886 წელს ნათქვამ სიტყვებს: „ყოველი წესი, რიგი, დაწყობილობა, სიკეთე, მარტო წინდახედულის, ფრთხილის, გონიერის კაცისათვის არის ქვეყნიერებაზედ და არა გიჟისა და დამთხვეულისათვის. გიჟი, დამთხვეული, დღეს იქნება თუ ხვალე, კლდეზედ უნდა გადავარდეს, ამ ბედს იგი არსად წაუვა. აქაოდა, ქვეყანაზედ გიჟები არიანო, ჭკუიანებისათვისაც ხელმოსაცდელს და ხელთშესაწყობსაც ნურას იზამთო — ეგ მეტისმეტი თავდაუჭერელი, შეუწყნარებელი და საუბედურო სურვილია“.

ეგებ ახლა, საქართველოსათვის საბედისწერო ჟამს მაინც გაგვეთვალისწინებინა ეს დიდებული შეგონება — თუნდაც გვიან, ვიდრე არასდროს!

ესაუბრა

მარადი ანასაშვილი.

ინფორმაცია

„იბერიის“ ლენტიდან

თბილისი. 21 ნოემბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში შედგება ახალი პოლიტიკური პარტიის „სამოქალაქო კავშირის“ დამფუძნებელი კრება. ახალი პარტიის დამფუძნებლები არიან თბილისის მოქალაქეთა კავშირი, მწვანეთა პარტია, მოძრაობა „ერთობა და კეთილდღეობა“.

ვარაუდობენ, რომ პარტიის გენერალურ მდივნად აირჩევენ ზურაბ ჟვანიას.

თბილისი. ცნობილი გახდა, რომ აბაშის რაიონის ორ სოფელში, რომლებზეც გადის ნავთობის მაგისტრალური ხაზი, ლოთი ქობალიას დავალებით თვეების მანძილზე მიმდინარეობდა ნავთობის მოპოვება და გადამუშავება. თითქმის ყველა სახლში მოწყობილი იყო კუსტარული ნავთობგადამამუშავებელი საამქრო, სადაც ამზადებდნენ საწვავს ტანკებისათვის (ლიტრს ყიდდნენ 2.400 კუპონად).

ფოთი. რუსეთ-საქართველოს შორის მოლაპარაკების თანახმად შავი ზღვის ფლოტის სამშვიდობო ძალები ტოვებენ ფოთს.

როგორც „ნევას“ კორესპონდენტს შავი ზღვის ფლოტის პრესცენტრიდან აცნობეს, ფოთში დარჩება შავი ზღვის ფლოტის კომენდატურა, სადესანტო ჯგუფი, აგრეთვე სამეთვალყურეო გემები პორტის მისადგომებთან. სადესანტო ჯგუფი და კომენდატურა დაკომპლექტებულია ოფიცრებით, მიჩმანებით, მეზღვაურებით, რომლებმაც მიიღეს რუსეთის სამხედრო ფიცი და გამოთქვეს სურვილი იმსახურონ ამ რეგიონში.

16 ნოემბერს ქ. ფოთიდან სევასტოპოლში ჩავიდა 41 სამხედრო მოსამსახურე, რომლებსაც მიღებული აქვთ უკრაინის სამხედრო ფიცი.

ადგილობრივი მოსახლეობის, ქალაქის ადმინისტრაციის წარმომადგენლების და საქართველოს მთავრობის განცხადებათა თანახმად, შავი ზღვის ფლოტის ძალების კონტინგენტმა ხელი შეუწყო ფოთში სტაბილიზაციის დამყარებას.

შავი ზღვის ფლოტის პრეს-ცენტრის ცნობით, შავი ზღვის აღმოსავლეთ რაიონში ჩატარებული ოპერაციების შედეგად, დაიჭრა ორი საზღვაო ქვეითი, ხოლო ერთი ოფიცერი დაიღუპა.

თბილისი. თბილისის ისნის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის განცხადებით, 18 ნოემბრის ღამეს მოხდა თავდასხმები რაიონში მდებარე პურის საცხობისა და მაკარონის ფაბრიკაზე.

თავდასხმების შედეგად დაზიანდა ღუმელი და სხვა მოწყობილობები, რომელთა აღდგენასაც დიდი დრო დასჭირდება.

იძულებითი გადაწყვეტილება

საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება კომერციული სტრუქტურებმა მხოლოდ რუსული მანეთებით გადაიხადონ მათ მიერ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ განხორციელებული ტვირთზიდვის საფასური. ხოლო იმის გამო, რომ საქართველოში მათ საბანკო ანგარიშზე არ არის ჩარიცხული თანხა მანეთებით, ფინანსური ოპერაციის განხორციელება მოუწევთ ნაღდი ფულით — რუსული მანეთებით — რკინიგზაზე მოქმედი ფასების პრეისკურანტის მკაცრი შესაბამისობით.

იმ შემთხვევაში, თუ კომერსანტებს გახსნილი აქვთ ანგარიშები რუსეთის ბანკებში, ისინი დეპარტამენტის ხელმძღვანელობის ნებართვით გადარიცხავენ სათანადო თანხას რკინიგზელების მიერ მითითებულ რუსეთის ერთ-ერთი იმ საწარმოს საბანკო ანგარიშზე, საიდანაც აპირებენ ამა თუ იმ დეტალის, მოწყობილობის, მანქანების, სათბობის თუ სხვა ტვირთის მიღებას.

●

ბათუმში კი არა, ფოთში

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა, რომ ბათუმში დგას ორი ხომალდი, რომელთა ტვირთი არ იგზავნება დანიშნულებისამებრ. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. ბათუმის ნავსადგურში მოთავსდება ერთი ხომალდის გადმოტვირთვა, რომლის ტვირთი [illegible] არის გათვალისწინებული. მეორე ხომალდი მისადგომზეა. რაც შეეხება შემოთავაზებულ ორ გემს, ისინი ფოთშია. ტვირთი [illegible] ელექტროენერგიის გაწყვეტის გამო.

აჭარის შინაგან საბაჟოს პრესსამსახური.



საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით! თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

შოთა ნიშნიანიძე.

შენს სინდისს თურმე საცრისტოლა თვალები ჰქონდა

აჩიკო მიშველაძე
1978-1993
მხედრიონელი

შენ არაერთხელ გაიპარე სიკვდილში — ომში...
პატარა ბიჭი გაიპარე... ახლა ხარ დიდი...
შენ გაეპარე დედ-მამას და მომავალ ცოლ-შვილს,
შენ გაეპარე სიბერეს და სიბერით სიკვდილს.

შენ გაეპარე მყუდრო ლოგინს და მყუდრო ოთახს,
და იმ წუთიდან აღარ იყავ დედის შემბრალე,
შენს სინდისს თურმე საცრისტოლა თვალები ჰქონდა
და სინდისს ალბათ ამიტომაც ვერ გაეპარე.

შენ ბავშვმა ნახე სისხლიანი ცხრა ანგელოზი...
ნახე სოხუმი დალეწილი... ნახე ჰუბერი...
და შვილებისგან ყელგამოჭრილ საქართველოზე
ნახე ვეშაპად გაწოლილი დარდის ღრუბელი.

არც აფხაზია შენი მკვლელი და არც ჩეჩენი.
სიკვდილს შენ თვითონ დაეძებდი ჯიქურ სარქენად.
ეჰ, შენი მკვლელი პირველ ყოვლის მამაშენია —
პაატას კვალზე ბავშვობიდან რომ შეგაყენა.

გადატეხილი მშვენიერი ხარ კვიპაროსი,
ჟამი კი მიდის რია-რიით... ლიტანიითაც...
შენი ტოლები გრიალებენ სადღაც კვიპროსზე,
ზოგნიც სამძიმარს აგზავნიან იტალიიდან...

ხვალ-ზეგ აფხაზეთს გადავლილი რისხვის გრიგალი
დაიხსნის მიწას — ლტოლვილების ცრემლებით ნამულს.

ადექი, ბიჭო,
ადექი და
კვლავ გაიპარე...
შენი სიკვდილი კვლავ სჭირდება შენს ტანჯულ მამულს!..

საგამოფენო დარბაზებში

რაც სულს ესალბუნება

გამოფენა ლამის ქუჩიდანვე დაიწყო. პირველმა თოვლმა თითქოს ჯადოსნურად აელვარა მთელი კვირის წვიმებით გაბეზრებული ქალაქი. ამ გვიან შემოდგომაზე ხავერდიელ ფიფქებში წითელს, ყვითელს, ალისფერს, მწვანეც ელვარებდა და მშვენიერ სანახაობას კომპოზიციურად ასრულებდა ადამიანთა ხალისიანი სახეები. იმ დღეს 12 ნოემბერს, ნამდვილად ასე იყო. ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ არანაირ გაჭირვებას არ შეუძლია ჩაკლას ადამიანებში სიხარულისა და აღტაცების უნარი.

შიგნით, კი გამოფენაზე...

— ამდენ ხალხს რომ ვხედავ, მიხარია. იცით, თეატრშიც უკვე ხალხმრავლობაა, დარბაზში ჩასადგმელ სკამებს მოითხოვენ, მაყურებლის ასეთი მოძალება, სანატრელი, ბოლო ხანს, ამ სიდუხჭირეში მაიმედებს, რომ უთუოდ გვეშველება.

— მადლობა ამ საუცხოო გამოფენის თაოსნებს, მის მონაწილეთ. ჩვენი ხალხის სულიერ ამაღლებაში თავის მაგიურ ძალას იბრუნებს კულტურა, ხელოვნება — თქვა საქართველოს სახალხო არტისტმა გურანდა გაბუნიამ ვერნისაჟზე, რომელიც ახალ გალერეაში მოაწყვეს საერთაშორისო კომპანია „ანიმამ“ და კომპანია „მეორე არხმა“.

თვითნასწავლი მხატვრებისა და ხალხურ ოსტატთა ნამუშევრების ესოდენ ვრცელი გამოფენა პირველად მოეწყო. აქ ჟანრობრივად ფართო სპექტრია წარმოდგენილი: ფერწერა, გრაფიკა, მინანქარი, ნაქარგობა და სხვა. მთავარი კი ის გახლავთ, რომ თვითნასწავლ მხატვრებსა და ხალხურ ოსტატებს ამ გაჭირვების ჟამს საშუალება მიეცათ გამოეფინათ თავიანთი შემოქმედების ნიმუშები.

ექსპოზიციის ბევრ უნიკალურ ნახელავს, რომელთა ავტორები არიან პედაგოგები, ექიმები, მეცნიერები, პენსიონერები, არქიტექტორები, სტუდენტები და მოსწავლეებიც კი, ცნობილი მუზეუმებიც შეიფერებდა.

— ხალხში გაბნეულ უმდიდრეს ეროვნულ საუნჯეს ყურადღება და პატრონობა სჭირდება. დროა გამოვამზეუროთ ეს საგანძური, რათა არ ჩაკვდეს სულიერება — გვითხრა „ანიმას“ გენერალურმა დირექტორმა მანანა შევარდნაძემ და სამომავლო გეგმებიც გაგვიზიარა.

აღსანიშნავია, რომ „ანიმა“ მის დამფუძნებელთა სახელების საწყისი ასოებისაგან წარმოსდგება — ესენი გახლავთ ცნობილი მოცეკვავე ანდრის ლიეპა, კინორეჟისორი ნინო ლაპიაშვილი და მუსიკისმცოდნე მანანა შევარდნაძე. „ანიმა“ ლათინურად სულს ნიშნავს. ამ სამეულისა და მათ თანამდგომთა გიული ტატიშვილის, მაია წერეთლის, გია ჯანბერიძის, მარიანა პაასის, ელისო პეპინაძის საქმიანობის მთავარი მიზანიც სულიერი კულტურის აღზევებაა.

გამოფენის გამართვაში დიდი წვლილი მიუძღვის კომპანია „მეორე არხის“ გენერალურ დირექტორს ზაზა ღარასელს. მის მოადგილეს სერგო ბიწაძეს, პასუხისმგებელ მდივანს მარინე თურქაძეს. კატალოგის დაბეჭდვისათვის დიდად ემადლიერებიან საქართველოს რესპუბლიკის პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმიანობის კორპორაციის თავმჯდომარის მოადგილეს რამაზ კანდელაკს.

გახსნაზე ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ნოდარ ჯანბერიძემ აღნიშნა:

— ეს გამოფენა მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში. თვითნასწავლ და ხალხურ ოსტატთა ეს ნამუშევრები მშვენივრად გამოხატავს ჩვენი ხალხის პოტენციურ შემოქმედებით შესაძლებლობებს, სხვადასხვა პროფესიის ამ ადამიანთა ნახელავში იგრძნობა დიდი უშუალობა, გარე სამყაროსადმი ალალი და გულწრფელი დამოკიდებულება. სასიხარულოა, რომ ყველაფერი ეს წარმოდგენილია მხატვრული ფორმის მრავალფეროვნებით. ხალხურ შემოქმედებას ერის კულტურის ისტორიაში ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. მისასალმებელია, რომ ხალხური შემოქმედების ოსტატები აგრძელებენ მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ტრადიციებს.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე პოეტმა რეზო ამაშუკელმა და მონაწილეებმა — ჟურნალისტმა მედეა კეიდიამ და მუსიკოსმა იზა ნადირაძემ.

გამოფენა-გაყიდვა 23 ნოემბრამდე გასტანს.

ბელა დურგლიშვილი.

სურათზე: გამოფენის თაოსნები.
თედო ნიკოლაიშვილის ფოტო

პურის რიგები საფრთხეშია

ახლა, აქაოდა საბაზრო ეკონომიკაზე გადავედით, ბევრს კომუნისტური ცხოვრების გახსენებაც აღარ უნდა. არადა, საბჭოთა კავშირი (განსაკუთრებით მოსკოვი) მთელ მსოფლიოში იყო განთქმული თავისი კილომეტრიანი რიგებით. დაემხო იმპერია და დაიკარგა წლობით ნალოლიავები რიგებიც. მაღაზიები ისე გამოცარიელდა, რიგებს კი არა, მომხმარებელი სანთლით საძებარი გახდა.

მხოლოდ ბაზარს ესევა ხალხი (ეტყობა, სახელწოდებაც „საბაზრო ეკონომიკა“ აქედან მიიღო) მორჩა ის დრო, როცა მთელ ქვეყანაში სახელმწიფო მაღაზიებს ეკავათ მონოპოლია. ახლა ბაზრისა და ჯიხურების მონოპოლიაა.

ერთადერთი, რაც ძველ დროს მახსენებს, პურის მაღაზიებია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ რიგები აქ კი არა, სამრეწველო მაღაზიებში იდგა. გაბაზრებულმა ეკონომიკამ, ცხოვრება ყირამალა დააყენა — ყველგან ყველაფერი მოსპო და მხოლოდ პურის რიგებიღა დატოვა.

სახელმწიფო ვერ მოიქცა ფხიანად, პურზე ფასები ვერ აუშვა (გარდა კომერციული მაღაზიებისა), თორემ ეს უკანასკნელი ნუგეშიც გამოგვეცლებოდა, აბა წარმოიდგინეთ, კილოგრამი პური 7 ათასი კუპონი რომ ღირდეს (ასეთია რეალური ფასი), ახლა ყოველდღე რიგში რომ ვართ გაჭიმული, თვეში ალბათ ორ-სამჯერღა თუ მოგვიწევდა ეს სიამოვნება.

ისე, მე რომ ვუკვირდები, ინფლაცია (განსაკუთრებით ჰიპერინფლაცია) დიდი მარეგულირებელი საშუალება ყოფილა. ეტყობა, კომუნისტებმა ეს არ იცოდნენ, ფასებს, აწევის ნაცვლად, დაბლა სწევდნენ და რიგებიც იმიტომ იწელებოდა. აბა, ახლა შეხედეთ კომერციულ მაღაზიებში დახლები ძვირფასი უცხოური საქონლით გადატენილია, მაგრამ მას ერთეულების გარდა, ახლოსაც არავინ იკარება.

ასეთი ცხოვრება მოვიდა და რას იზამ, ახლა თუ ფრთხილად არ ვიქნებით, შეიძლება საქმე ისეთნაირად წავიდეს, რომ პურის რიგებიც დაგვენატრულდეს. არადა, ვიდრე მას ცივილიზებულ სახეს მივცემდით, დრო და ენერგია დავკარგეთ.

სხვაგან არ ვიცი, როგორ არის, მაგრამ ჩვენს უბანში პურის რიგი უკვე პრობლემა აღარ არის. გაინტერესებთ, როგორ მივაღწიეთ? დავაკვირდით, ბატონო, ანალიზი გავუკეთეთ, დასკვნები გამოვიტანეთ და იმის მიხედვით ვიმოქმედეთ. როგორც სოციოლოგიური კვლევით გამოირკვა, რიგში დგომა ყველაზე მეტად ახლად წამოყინჩულ ბიჭებს, ჯანღონით სავსე ვაჟკაცებს, პენსიონერებს და გამყიდველის ნაცნობმეგობრებს ეხერხებათ, აურზაური, გაწევ-გამოწევა და ცემა-ტყეპაც ძირითადად მათ შორის იმართებოდა. ჩვენ ეს პრობლემა სულ იოლად მოვიშორეთ — ყველა ისინი ურიგოდ გავუშვით. აიღებენ ისინი პურს და რიგიც სულ რაკრაკით მიდის.

უკანასკნელ ხანს, დანომვრაც შემოვიღეთ, რამაც დიდი ეფექტი მოგვცა. დილით ნომერს აიღებ, მერე სამსახურში გამოცხადდები, უფროსსაც მოეჩვენები და რიგს გულმშვიდად დაუბრუნდები. მართალია, თითოოროლა უსინდისო აქაც ახერხებს გაძვრომას (ყალბ ნომერს იყენებს), მაგრამ ერთმა მოხერხებულმა პენსიონერმა ამასაც მოარგო გასაღები — სახლიდან მოტანილი შპალერის ქაღალდზე აწერს ნომრებს. როგორც თვითონ შაქრო ამტკიცებს, ასეთი შპალერი მარტო თბილისში კი არა, მთელ დუნიაზე არ მოიძებნება.

ეს არ არის მთავარი, უფრო არსებითი ის გახლავთ, რომ პურის რიგები დიდქალაქში დიდ საპოლიტიკო ცენტრებად იქცა. ახლა უბრალო პურის რიგში მდგომი რიგითი დიასახლისიც კი შევარდნაძისა თუ კლინტონის საშინაო და საგარეო პოლიტიკას ისეთ ანალიზს გაუკეთებს, რომ ბევრ ჩვენებურ დახვეწილ პარლამენტარსაც შეშურდება.

ახლა ტრადიციები ავიღოთ? ადრე თუ თბილისში საერთო ეზოები აკავშირებდა და ამეგობრებდა ადამიანებს, დღეს ამ ფუნქციას პურის რიგები ასრულებს. და განა მარტო ეს? ამას წინათ, უბნელებმა პურის რიგში დაწყვილებულთა მეხუთე ქორწილი გადავიხადეთ (ძველებური კომკავშირული ქორწილების მსგავსად), ცალკე აღინიშნება სტაჟიან პურისრიგელთა მრგვალი თარიღები. გვყავან საპატიო წევრებიც (ასაკის თუ ავადმყოფობის გამო, რიგში დგომა რომ აღარ შეუძლიათ), რომელთაც პურს სახლში ვუგზავნით.

და ასეთ დროს გაიგებ, რომ თურმე ქალაქის მერია საბარათო სისტემის შემოღებასა და პურის რიგების მოშლას აპირებს. მერიას რა დაეჯერება, მაგრამ ჩვენ მაინც ფრთხილად უნდა ვიყოთ. თუ, ჩვენ ნამდვილი თბილისელები ვართ, ოფლითა და გარჯით, ლამისთევით მოპოვებული პურის რიგები არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავკარგოთ.

ოთარ ხუციშვილი.

ისეთ ხუმრობას რა უთხარი

ამჯერად „ვერცხლი“

ცხინვალელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა 91 კილოგრამი წონითი კატეგორიის ძალოსანთა შორის კახი კახიაშვილმა მეორე ადგილი დაიკავა ავსტრალიის ქალაქ მელბურნში დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატზე. მან ორჭიდის ჯამში 402,5 კილოგრამი მოაგროვა. მსოფლიო რეკორდით — 407,5 კილოგრამი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ბულგარელი ივანე ჩაკიროვი ავიდა. კიდევ ერთი ოლიმპიური ჩემპიონი, ერთ დროს ქართველი სპორტსმენის ყველაზე სახიფათო მეტოქე ანატოლი ხრაპატი (ყაზახეთი) მესამე პრიზიორი გახდა.

ჩემპიონატი განახლდა

თბილისის დინამოელებთან დაკავშირებული ინციდენტის შემდეგ განახლდა კალათბურთელ ვაჟთა მესამე ეროვნული ჩემპიონატი — გაიმართა პირველი წრის პირველი ტურის გამოტოვებული შეხვედრები „ბ“ ჯგუფის გუნდებს შორის. გთავაზობთ მათ შედეგებს: „დინამო“ — „აზოტი“ — 97:79, „თბილისი“ — „თორსი“ — 119:80.

ამრიგად, პირველი წრის მეორე ტურის მატჩების წინ, რომლებიც 26 ნოემბერს დაიწყება პირველობის ათივე გუნდის მონაწილეობით, სატურნირო ცხრილს 4-4 მოგებით სათავეში უდგანან „ვითა“ და „თბილისი“. „კაქტუსის“ აქტივშია 3 გამარჯვება.



ერთ გუნდში — საქართველოსთვის

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის კომიტეტის გრიფით გამოვიდა სპორტული ჟურნალისტის გაბრიელ ბარჯაძის წიგნი „ერთ გუნდში“. ეს უკვე ავტორის მეხუთე წიგნია და მოგვითხრობს საქართველოს ებრაელ სპორტსმენებზე. წიგნის შესავალში საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ჯანო ბაგრატიონი წერს: „არაერთი ნიჭიერი სპორტსმენი გამოსულა საქართველოს სახელით დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში, მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევდნენ და სხვადასხვა სახის მედლებიც ჩამოჰქონდათ მშობლიურ თბილისსა თუ ქუთაისში, და ვინ მოთვლის კიდევ სად. მართლაც საამაყოა აქ ანატოლი მოშიაშვილისა და მოსე დავარაშვილის, გაბრიელ ხანუკაშვილისა და გაბრიელ ათანელაშვილის, რომან ჯინჯიხაშვილისა და ხაიმ ხანუკაშვილის გახსენება... წიგნი ეჭვგარეშეა მკითხველთა ინტერესს გამოიწვევს და კიდევ უფრო გააღრმავებს ქართველი და ებრაელი სპორტსმენების მეგობრობას“.

წიგნის რედაქტორია ოთარ ნიჟარაძე, მხატვარი — მაყვალა ბარჯაძე.

* * *

ზუგდიდი. 20 ნოემბერს სამთვიანი შესვენების შემდეგ, რაც რეგიონში შექმნილი უმძაფრესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ოპერატიულ-კრიმინოგენური მდგომარეობით იყო გამოწვეული, აქ გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში. ადგილობრივი „ოდიში“ მასპინძლობდა ქუთაისის „ტორპედოს“. შეხვედრას ესწრებოდა 2 ათასამდე მაყურებელი, ფეხბურთის გულშემატკივრები. შეხვედრა ფრედ 4:4 დამთავრდა.

უჩვენებს თბილისი

ეთერში საქართველო

კვირა

21 ნოემბერი

10.05 მაცნე — საინფორმაციო პროგრამა, 10.15 მულტიპლიკაციური ფილმები, 10.40 მხატვრული ფილმი. 12.00 მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 12.10 ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 12.40 იმპროვიზაციები თემაზე — ისტორია. 13.00 კლუბი „კამერტონი“. 15.00 ანარეკლი. 15.50 დოკუმენტური ფილმი. 16.10 ჰიგია — სატელევიზიო-სამედიცინო ჟურნალი. 17.00 მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 „გლობუსი“. 18.15 „1500“. 19.00 ტაიმაუტი. 19.30 სიტყვა საქართველოზე. 20.30 ტელეკატალოგი. 20.50 რეკლამა. 21.00 [illegible] — საინფორმაციო პროგრამა. 21.30 სპორტული პროგრამა: 1. დედოფლის გვირგვინისათვის; 2. საქართველო! ჩემპიონატი კალათბურთში — ქალები: საქართველოს დამოუკიდებელი უნივერსიტეტი — „მეობა“ (ქუთაისი); 3. ოლიმპიური ლატარეა. 20.30 მხატვრული ფილმი. 24.00 ქვიშის საათი — საინფორმაციო პროგრამა.

ორშაბათი

22 ნოემბერი

10.15 მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 10.15 მულტიპლიკაციური ფილმები. 10.40 მხატვრული ფილმი. 12.00 მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 12.10. დრონი — სატელევიზიო პროგრამა. 15.10 დოკუმენტური ფილმი. 15.30 მხატვრული ფილმი. 17.00 მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 მულტიპლიკაციური ფილმები. 17.45 სტუმრად ქართველებში. 18.10 ხელოვნების ლექტორიუმი. 18.40 ნოტა ბენე. 19.10 საინფორმაციო მუსიკის კონცერტი. 19.55 რეკლამა. 20.00 მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 20.30 პულსი. 21.10 ომს ჟურნალისტებიც იგებენ... 22.00 ვესტნიკი — საინფორმაციო პროგრამა. 22.35 მხატვრული ფილმი. 23.50 ქვიშის საათი — საინფორმაციო პროგრამა.

ხსოვნა

ვაჟა ჯინჯიხაძე

მოულოდნელად გარდაიცვალა ვაჟა გერონტის ძე ჯინჯიხაძე, რესპუბლიკის საბანკო, საფინანსო, ვაჭრობის დარგების ღვაწლმოსილი, ცნობილი სპეციალისტი და ხელმძღვანელი.

ვაჟა ჯინჯიხაძე დაიბადა 1931 წ. ქუთაისში, 1955 წ. დაამთავრა მოსკოვის საგარეო ვაჭრობის ინსტიტუტი. მუშაობდა საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში, მინისტრთა საბჭოს აპარატში, ფართო განათლებამ და ერუდიციამ, საბანკო-საფინანსო საქმიანობის ჩინებულმა ცოდნამ განაპირობა ვ. ჯინჯიხაძის 1977 წ. საკავშირო საგარეო-სავაჭრო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ, 1983 წ. კი — ეკონომიკურ ურთიერთობათა საერთაშორისო ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ დანიშვნა. 1988-1991 წ. წ. ვ. ჯინჯიხაძე საქართველოს ვაჭრობის მინისტრია, 1992-1993 წლებში ჩვენი ქვეყნის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და ფინანსთა მინისტრი.

ვ. ჯინჯიხაძე როგორც საბანკო-საფინანსო საქმის გამორჩეული მცოდნე და ორგანიზატორი, აღიარებული იყო ყოფილ საბჭოთა კავშირსა და მსოფლიოს სხვა მრავალ ქვეყანაში. ამის დადასტურება იყო ახლახან მიღებული გადაწყვეტილებაც — ის დაინიშნა მოსკოვის ერთ-ერთი უდიდესი ბანკის ხელმძღვანელად.

ვაჟა ჯინჯიხაძემ, ბრწყინვალე სპეციალისტმა, ორგანიზატორმა და ხელმძღვანელმა, შესანიშნავმა მეოჯახემ, ერთგულმა მეგობარმა წარუშლელი ნათელი კვალი დატოვა თანამშრომლებისა და კოლეგების, მრავალი პატივისცემლის ხსოვნაში.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი; საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამინისტრო.

დომენტი ბანძელაძე

ქართველ იურისტთა რიგებს გამოაკლდა მაღალკვალიფიციური იურისტი, ხოლო საზოგადოებამ დაკარგა შესანიშნავი პიროვნება დომენტი (დიმიტრი) გელას ძე ბანძელაძე.

იგი დაიბადა 1947 წელს ქ. თბილისში, ცნობილი ქართველი მეცნიერის ოჯახში. 1970 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაიწყო შრომითი საქმიანობა და აქტიურად ჩაება საზოგადოებრივი წესრიგისა და კანონიერების დაცვის საქმეში. იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1970-1987 წლებში მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე.

1987 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ.

დ. ბანძელაძე გამოირჩეოდა ენერგიულობით და პროფესიონალიზმით, უშურველად იხარჯებოდა მისი ნიჭი, ენერგია და სადაც კი მოღვაწეობდა, მოიპოვა ავტორიტეტი, პატივისცემა და სიყვარული.

დიმიტრი ბანძელაძისა და მისი ქალიშვილის სიცოცხლე იმსხვერპლა ბოროტმოქმედთა მსახვრალმა ხელმა, წავიდა ჩვენგან შესანიშნავი მოქალაქე, კარგი იურისტი, თავის ქვეყანაზე, ოჯახზე, მეგობრებზე შეყვარებული პიროვნება; ოჯახის მამა, მეუღლე, შვილი, ძმა და დატოვა მასთან ერთად დაღუპული ქალიშვილის სიკვდილით უსაზღვროდ დამწუხრებული ოჯახი და ახლობლები.

მსუბუქი იყოს მათთვის მშობლიური მიწა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო; საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა; საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო; თბილისის საქალაქო სასამართლო; ქ. თბილისის პროკურატურა; საქართველოს რესპუბლიკის იურისტთა კავშირი.

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო იუწყება, რომ გარდაიცვალა ყოფილი ფინანსთა მინისტრი

ვაჟა გერონტის ძე ჯინჯიხაძე

და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

„საქბინსოცბანკის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ვაჟა გერონტის ძე ჯინჯიხაძე

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი საგამოძიებო სამმართველოს ცენტრალური აპარატის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ბანდიტთა ხელით დაიღუპნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრი

დიმიტრი გელას ძე ბანძელაძე და მისი ქალიშვილი
ლილიანა დიმიტრის ასული ბანძელაძე.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 1970 წელს კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ბანდიტთა ხელით დაიღუპნენ თანაკურსელი, თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრი

დიმიტრი გელას ძე ბანძელაძე და მისი ქალიშვილი
ლილიანა დიმიტრის ასული ბანძელაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულთა ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო თანაგრძნობას უცხადებს ბატონ ლევან ალექსიძეს მეუღლის

თინათინ იაკობის ასულ ქართველიშვილის

გარდაცვალების გამო.

ხსივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით უწყება, რომ გარდაიცვალა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი

დიმიტრი რევაზის ძე ვეფხვაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 25 ნოემბერს.

მთავარი რედაქტორი **ზურაბ ბოგიაშვილი.**

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0486.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА